სამი საბჭოთა ვაჟკაცი კოსმოსში

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 აპრილი შაბათი 1971

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ ● № 95 (15005)

ფასი 2 კაპ.

ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ „ᲡᲝᲘᲣᲖ-10“ ᲓᲐ ᲝᲠᲑᲘᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ „ᲡᲐᲚᲣᲢᲘ“. ᲞᲘᲚᲝᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲝᲠᲑᲘᲢᲣᲚ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ.

ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘ Ვ. Ა. ᲨᲐᲢᲐᲚᲝᲕᲘ, Ა. Ს. ᲔᲚᲘᲡᲔᲔᲕᲘ ᲓᲐ Ნ. Ნ. ᲠᲣᲙᲐᲕᲘᲨᲜᲘᲙᲝᲕᲘ ᲨᲔᲣᲓ�გᲜᲔᲜ ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲨᲐᲢᲐᲚᲝᲕᲘ

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲘᲡ-ᲫᲔ ᲔᲚᲘᲡᲔᲔᲕᲘ

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ-ᲫᲔ ᲠᲣᲙᲐᲕᲘᲨᲜᲘᲙᲝᲕᲘ

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲮᲝᲒᲐ

ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔᲐ „ᲡᲝᲘᲣᲖ-10“ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ

1971 ᲬᲚᲘᲡ 23 Ა�პᲠᲘᲚᲡ 2 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ 54 ᲬᲣᲗᲖᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ ᲐᲘᲦᲝ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲠᲐᲙᲔᲢᲐᲛ „ᲡᲝᲘᲣᲖ-10“ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲗᲣᲠᲗ. 3 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ 03 ᲬᲣᲗᲖᲔ „ᲡᲝᲘᲣᲖ-10“ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ ᲒᲐᲣᲕᲐᲜᲘᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘ�წᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲣᲚ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ.

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲡ ᲞᲘᲚᲝᲢᲝᲑᲡ ᲔᲙᲘᲞᲐᲟᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲡ: ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ, ᲝᲠᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲨᲐᲢᲐᲚᲝᲕᲘ, ᲑᲝᲠᲢ-ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ, ᲝᲠᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ, ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲘᲡ-ᲫᲔ ᲔᲚᲘᲡᲔᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ-ᲫᲔ ᲠᲣᲙᲐᲕᲘᲨᲜᲘᲙᲝᲕᲘ.

„ᲡᲝᲘᲣᲖ-10“ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ ᲒᲐᲣᲕᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘ�წᲘᲡᲘᲠᲒᲕᲚᲘᲗ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲘᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ — ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲝᲠᲑᲘᲢᲣᲚ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲓᲒᲣᲠ „ᲡᲐᲚᲣᲢᲗᲐᲜ“ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲔᲓᲐᲛᲘ�წᲘᲡᲘᲠᲒᲕᲚᲘᲗ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ ᲒᲐᲣᲨᲕᲔᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ 19 Ა�პᲠᲘᲚᲡ;

ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲓᲔᲡ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲝᲠᲢᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘ;

— ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲘᲡᲕᲔᲤᲬᲝᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘ, ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ;

— ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ-ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲖᲔ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐᲓ.

ᲔᲙᲘᲞᲐᲟᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲣᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲠᲐᲓᲘᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ. ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲨᲐᲢᲐᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ ᲒᲐᲣᲕᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘ ᲒᲐᲕᲚᲘᲚᲘᲐ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ. ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲜ, „ᲡᲝᲘᲣᲖ-10“ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲠᲢᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ, ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲣᲠᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲞᲘᲠᲝᲒᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲔᲓᲐᲛᲘ�წᲘᲡᲔᲣᲚᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ.

ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘ Ვ. Ა. ᲨᲐᲢᲐᲚᲝᲕᲘ, Ა. Ს. ᲔᲚᲘᲡᲔᲔᲕᲘ ᲓᲐ Ნ. Ნ. ᲠᲣᲙᲐᲕᲘᲨᲜᲘᲙᲝᲕᲘ ᲨᲔᲣᲓ�გᲜᲔᲜ ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ.

> ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ, ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲔᲑᲡ, ᲘᲜᲟᲘᲜᲠᲔᲑᲡ, ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲡᲘᲕᲠᲪᲘᲡ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲔᲑᲡ ᲒᲕᲘᲡᲐᲮᲐᲕᲔᲜ!
>
> ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲛᲐᲪ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲡ!
>
> ᲡᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲝᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ

ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲨᲐᲢᲐᲚᲝᲕᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲗᲐ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲗᲐ ᲯᲒᲤᲠᲘᲡᲐᲛᲔᲠ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲨᲐᲢᲐᲚᲝᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲠᲔᲜᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ 1969 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ „ᲡᲝᲘᲣᲖ-4“ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲗ. „ᲡᲝᲘᲣᲖ-5“ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲔᲙᲘᲞᲐᲟᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲐᲜ ᲛᲝᲮᲓᲘᲜᲐ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲓᲐᲣᲚᲘᲜᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲰᲘᲠᲐᲞᲘᲠᲔᲑᲐ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ ᲨᲔᲛᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ.

ᲛᲔᲠᲛᲔ ᲤᲠᲔᲜᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘ Ვ. Ა. ᲨᲐᲢᲐᲚᲝᲕᲘ 43 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ. ᲐᲒᲘᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝᲑᲡ 1945 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ. ᲓᲐᲐᲛᲝᲜᲐᲗᲐ ᲒᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲗᲝᲔᲚᲓᲠᲝᲨᲝᲕᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲐᲭᲠᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ. ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲗᲐ ᲠᲐᲜᲗᲨᲘ ᲘᲒᲘ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲣᲚ 1963 ᲬᲚᲘᲡ.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲢᲘ.

ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘᲡ ᲪᲮᲝᲚᲘ ᲛᲣᲨᲐ ᲐᲜᲓᲠᲔᲐᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ. ᲛᲣᲨᲝᲑᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ; ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲓᲐᲯᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲐᲭᲠᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ.

ᲛᲔᲠᲛᲔ ᲤᲠᲔᲜᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲨᲘ Ვ. Ა. ᲨᲐᲢᲐᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲓᲐᲯᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲐᲭᲠᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ ᲬᲘᲗᲝᲔᲚᲓᲠᲝᲨᲝᲕᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲐᲭᲠᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ. 1960 ᲬᲚᲘᲡ. ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲘᲡ-ᲫᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ — ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐᲛᲝᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲛᲣᲨᲝᲑᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐᲛᲝᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ.

ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ-ᲫᲔ ᲠᲣᲙᲐᲕᲘᲨᲜᲘᲙᲝᲕᲘ

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ-ᲫᲔ ᲠᲣᲙᲐᲕᲘᲨᲜᲘᲙᲝᲕᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1932 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ. ᲘᲬᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ. ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲘᲜᲐᲪᲘᲪᲐᲚᲐ ᲛᲣᲨᲝᲑᲓᲜᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲝᲜᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲝᲠᲑᲘᲢᲣᲚ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ.

1967 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ-ᲫᲔ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲗᲐ ᲠᲐᲖᲛᲨᲘ. ᲐᲮᲚ ᲛᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲐᲠᲐ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲠᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ, ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲩᲜᲘᲜᲐ ᲓᲠᲝᲘᲗ ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘ.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ-ᲫᲔ ᲠᲣᲙᲐᲕᲘᲨᲜᲘᲙᲝᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ.

ᲠᲣᲙᲐᲕᲨᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲒᲐᲚᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲛᲤᲐᲛᲐᲓ ᲞᲔᲜᲡᲘᲐᲖᲔᲐ. ᲛᲐᲛᲘᲜᲪᲐᲕᲐᲚᲝ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲐᲚᲐ 1962 ᲬᲚᲘᲡ. ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘᲡ ᲪᲮᲝᲚᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲝᲑᲡ ᲣᲤᲠᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲐᲓ ᲛᲐᲜᲭᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲨᲘ. 1965 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲗ ᲨᲔᲫᲘᲜᲐᲗ ᲕᲐᲟᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘ.

ᲑᲝᲠᲢ-ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲘᲡ-ᲫᲔ ᲔᲚᲘᲡᲔᲔᲕᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲗᲐ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲗᲐ ᲯᲒᲤᲠᲘᲡᲐᲛᲔᲠ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲘᲡ-ᲫᲔ ᲔᲚᲘᲡᲔᲔᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲠᲔᲜᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ 1969 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ „ᲡᲝᲘᲣᲖ-5“ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲔᲙᲘᲞᲐᲟᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ. „ᲡᲝᲘᲣᲖ-4“ ᲓᲐ „ᲡᲝᲘᲣᲖ-5“ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲝᲠᲑᲘᲢᲣᲚᲘ ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲒᲘ ᲒᲐᲒᲘᲓᲐ ᲪᲘᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲨᲘ.

ᲘᲛᲘᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 6-ᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲔᲚᲘᲡᲔᲔᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ „ᲡᲝᲘᲣᲖ-4“ ᲓᲐ „ᲡᲝᲘᲣᲖ-5“ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲝᲠᲑᲘᲢᲣᲚᲘ ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲒᲘ ᲒᲐᲒᲘᲓᲐ ᲪᲘᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲨᲘ.

ᲘᲛᲘᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 16-ᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲔᲚᲘᲡᲔᲔᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ „ᲡᲝᲘᲣᲖ-8“ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲑᲝᲠᲢ-ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ, ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ „ᲡᲝᲘᲣᲖ-6“, „ᲡᲝᲘᲣᲖ-7“ ᲓᲐ „ᲡᲝᲘᲣᲖ-8“ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲣᲠᲘ ᲤᲠᲔᲜᲘᲡᲐᲨᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲑᲐᲣᲛᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲘᲡ-ᲫᲔ ᲔᲚᲘᲡᲔᲔᲕᲘ ᲐᲡᲚᲐ 36 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ. ᲛᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ, ᲛᲣᲨᲝᲑᲡ ᲡᲐᲯᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲘᲡ-ᲫᲔ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲢᲘ. ᲘᲒᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕ

ახალი ნაბიჯი კოსმოსში

„სოიუზ-10“ ხომალდის ორბიტული ფრენა

ფრენის მართვის ცენტრი, 23 აპრილი. (საქდესი). 23 აპრილის 12 საათისათვის მოსკოვის დროით „სოიუზ-10“ კოსმოსურმა ხომალდმა ექვსჯერ შემოუარა დედამიწისირგვლივ ორბიტას. ამ დროისათვის მისი პარამეტრები იყო: — მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა)—246 კილომეტრი; — მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 208 კილომეტრი; — მიმოქცევის პერიოდი — 89 წუთი; — ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

რადიოკავშირის მორიგი სეანსის დროს ხომალდის მეთაურმა ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვმა დედამიწაზე გადმოსცა, რომ ეკიპაჟი კარგად შეეგუა უწონობის პირობებს და შეუდგა ფრენის დასახული პროგრამის შესრულებას. კოსმონავტები ახორციელებდნენ ხომალდის ორიენტაციის გათვალისწინებულ რეჟიმებს, აწარმოებდნენ დაკვირვებასა და სამეცნიერო ექსპერიმენტებს. მეორე გარშემოვლის დროს კოსმონავტებმა ისაუზმეს.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებითა და კოსმონავტების ცნობით, ვ. ა. შატალოვის მაჯისცემაა 68 წუთში, ა. ს. ელისეევისა — 64 წუთში, ნ. ნ. რუკავშნიკოვისა—64 წუთში. სუნთქვის სიხშირე — შესაბამისად 15, 19, 14.

ხომალდის ნაკეთურებში მიკროკლიმატის პარამეტრებია: ტემპერატურა — 21 გრადუსი ცელსიუსით, წნევა — ვერცხლისწყლის სვეტის 780 მილიმეტრი, ჰაერის ტენიანობა და შედგენილობა — ნორმის ფარგლებში. კოსმოსური ხომალდის ყველა საბორტო სისტემა ნორმალურად მუშაობს.

10 საათიდან და 50 წუთიდან 20 საათამდე და 50 წუთამდე „სოიუზ-10“ ხომალდი საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონის გარეშეა. ამ პერიოდში კოსმონავტებთან კავშირი აქვთ დამყარებული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საზღვაო გემებს, რომლებიც ატლანტის ოკეანის აკვატორიაში არიან.

ინჟინერ-ტელეგამომცდელი ნ. ნ. რუკავიშნიკოვი, მეთაური ვ. ა. შატალოვი, ბორტ-ინჟინერი ა. ს. ელისეევი კოსმოსური ხომალდის კაბინაში.

ფოტო საქდესისა. (სურათი მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

ფრენის მართვის ცენტრი, 23 აპრილი. (საქდესი). კოსმოსურმა ხომალდმა „სოიუზ-10“-მა მოსკოვის დროით 19 საათისა და 30 წუთისათვის 11-ჯერ შემოუარა დედამიწას.

13 საათსა და 25 წუთზე მოეწყო კოსმოსური ხომალდის ორბიტის კორექცია. მისი უზრუნველყოფისათვის შესრულდა საჭირო მოსამზადებელი ოპერაციები. 12 საათზე, როცა „სოიუზ-10“ საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონის გარეთ იყო, სამეცნიერო-კვლევითი გემიდან „აკადემიკოს სერგი კოროლიოვიდან“ გასცეს კომანდები კორექციის მოწყობისათვის. მომდევნო გარშემოვლის დროს ხომალდის მეთაურმა ვ. ა. შატალოვმა ჯანახორციელა კოსმოსური ხომალდის ორიენტაცია მართვის ხელის სისტემის მეშვეობით. გათვალისწინებულ დროს ჩართეს ძრავა, რომელმაც გაანგარიშებული იმპულსი მისცა ხომალდს და „სოიუზ-10“ ახალ ორბიტაზე გადავიდა.

ტელემეტრიული ინფორმაციის თანახმად, ხომალდის ყველა საბორტო სისტემის პარამეტრები ნორმალურია, კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

15 საათსა და 10 წუთიდან კოსმონავტები ისვენებენ. ისინი იძინებენ 23 საათამდე, რის შემდეგაც განაგრძობენ მეცნიერულ-ტექნიკურ ექსპერიმენტებს.



„სოიუზ-10“ კოსმოსური ხომალდის სტარტი.

საქდესი. (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

მესაქმე სტარტის უფლება

ვარსკვლავმფრინველებმა მიმავალ ძნელ გზაში კოსმონავტისათვის ისევე საჭიროა ხუმრობა, როგორც ბორტულუფა. სწორედ ამიტომ ხუმრობენ ასე მეგობრები, რომლებიც აცილებენ კოსმონავტებს.

გაახსენდა თუ არა ვლადიმერ შატალოვს, რომ წელინადინარის წინათ სასტარტო მოედნისაკენ ნელა მიმავალ ავტობუსში ვიღაცამ მოსკოველი მძღოლის ხმა წარმოთქვა:

— მოქალაქე მგზავრებო, შეიძინეთ ბრნეულები!

— მე მუდმივი მაქვს! მაშინვე მიუხვდა შატალოვი ნართაულს და გაიღიმა.

მის პასუხშიც იყო თავისებური აზრი: დიახ, ოქტომბრის იმ დღეს იგი უკვე მეორედ მიდიოდა ნაცნობი მარშრუტით ცნობილ ავტობუსში. მეორედ ერთ წელიწადში! ზღარბივით ზუსტკეციელზე გადაგორებული ბურბუა რომ არა, რუხი ვეღი რომ არა, ავტობუსის ფანჯრიდან რომ მოჩანდა — კაცი იფიქრებდა იანვრის სტარტი მეორდებაო. ცხრა თვის წინათ კოსმონავტისათვის, რომელიც წლობით ელოდება სტარტს, — ეს იგივეა, რაც ერთი დღე, ან ასევე იდეა რაკეტა და მის წვერზე ასაფრენად გამზადებული ხომალდი მეთაურს ელოდა.

კავიდა წელიწადნახევარი. მხოლოდ წელიწადნახევარი... აპრილის ვეღზე სტარტისაკენ მიმავალ ვლადიმერ შატალოვს, შესაძლოა, გაახსენდა კიდეც ხუმრობა მუდმივ ბილეთზე. ხუმრობა წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. კოსმონავტი კვლავ ორბიტაზეა. მან მიიღო მესამე სტარტის, მესამე კოსმოსური ვახტის უფლება.

როცა დღეს ნაცნობ ფოტოსურათს ეკურეს, ეკვი აღარ ეძებ კაზეთში ბიოგრაფიულ ცნობას. ვნირებს სახელს უხვევს მათი საქმეები. კოსმოსური ანალოგიათ, შეიძლება ითქვას, რომ მესამე სტარტი ვლადიმერ შატალოვისათვის— ეს არის მესამე საფეხური მის დაუოკებელ მისწრაფებაში — რაც შეიძლება უფრო ღრისეულად გაამართოს კოსმონავტის წოდება და დანიშნულება.

— მას დიდებულად ესმის და უყვარს კოსმოსური ტექნიკა, შესანიშნავად ერკვევა ყველა ურთულეს დეტალში. მასში საოცრად არის შერეული ფფრინავის მამაცობა და ინჟინრის ანალიზური ჭკუა. რასაც უნდა აკეთებდეს — ყველაფერი წინასწარ აქვს გაანგარიშებული, — ასე დაახასიათა ერთხელ თავისი დუბლიორი გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვომ. ცნობილი გამომცდელი მფრინავის, კოსმონავტის ამ სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

და ვლადიმერ შატალოვმა მაღალ ორბიტაზე დაამტკიცა, რომ ეს დახასიათება სწორია. გახსოვთ! რა მდელვარებით შეჰყურებდა მილიონობით ადამიანი ტელევიზორის ეკრანს, რომელზეც ჩანდა კოსმოსის ციმციმი. ჩვენს თვალწინ სასწაულები ხდებოდა, რომელთა წინაშე, ალბათ, ყველაზე თავგამოდებული ფანტასტიტიც კი, მუნჯდებოდნენ. გაიხსნა მზის ბატარეები და ჯადოსნური ფრთებივით ერთმანეთს უახლოვდებოდა ორი ხომალდი. არა, ჩვენ მხოლოდ ბუნდოვნად ვხედავდით ამ ფორმებს, და ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გაუგებარი ეკრანზე გამოჩენილ გაურკვეველ სილუეტებში. და უცებ შორეთიდან გაისმა ვლადიმერ შატალოვისა და ბორის ვოლინოვის ახლობელი ხმები. გახსოვთ, როგორ გადმოგვეცა თვითეული სიტყვით, თვითეული წამოძახილით მათი დაძაბულობა? ასე გადაულაპარაკებენ ხოლმე ერთმანეთს მუშები, ინჟინრები, როცა ამონტაჟებენ ბრძოლიდს, მართავენ კოშკურა ამწეს. და თუმცა კოსმოსიდან ჯერ კავიგონენდით ლითონის ხმას, რომლითაც ერთმანეთს შეეკრთდნენ შესაპირაპირებელი კვანძები, ასე გვეგონა, აქ, დედამიწაზე, გარკვეულად გავიგონეთ ეს ხმა.

ასე ააწყვეს ორბიტაზე და ამუშავდა მსოფლიოში პირველი ექსპერიმენტული ორბიტული კოსმოსური სადგური. ორი კოსმონავტი — ალექსი ელისეევი და ევგენი ხრუნოვი მშვიდობით გადავიდნენ ერთი ხომალდიდან მეორეში. და ნამდვილად დედამიწისეული იყო შეხვედრა შატალოვის „სოიუზ-4“-ში.

— დღე-ღამის განმავლობაში ვეღოდებოდი მათ, — ვკიამბო შემდეგ ვლადიმერ შატალოვმა, — დიდი ასოებითაც კი დავწერე „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“-მეთქი. გახარებულებმა სამი ტუბი შავი მოცხარის წვენი დაულიეთ. სწორედ მაშინ, იმ დაუვიწყარ წუთებში ორბიტაზე, როცა შეპიროპირებას ვახორციელებდით, მიეხვდი, რომ კოსმოსი მხოლოდ გაფრენა როდია, ეს მუშაობაა.

კოსმოსი მუშაობაა... ოქტომბრის იმ დღეს „სოიუზ-8“-ის სტარტის წინ ვლადიმერ შატალოვი მოუთმენლად დასცქეროდა საათს. კოსმოსში უკვე მანვერებს ახორციელებდა ორი ხომალდი — „სოიუზ-6“ და „სოიუზ-7“. ჯგუფური ფრენის მეთაურად დანიშნული ვლადიმერ შატალოვი ხარად იჭირდა ორბიტიდან მიღებულ ყველა ცნობას და როცა მისი დროც დადგა, როცა ცისფერმა ავტობუსმა იგი სასტარტო მოედანზე მიიყვანა, მართალი გითხრათ, რამდენადმე შეგცბუნდით, როცა დაგიხსეთ, რომ ამხანაგები, თითქოს აქ არაფერიაო, ჩვეულებრივ აცილებდნენ მას კოსმოსურ რეისში. შატალოვმა მოკლედ მოახსენა სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეს და სწრაფი ნაბიჯით მივიდა ლიფტთან. კოსმონავტს საუბაოზე ეჭირებოდა.

ახლა კი ახალი სტარტი! კოსმონავტის წოდება პროფესიად იქცეოდა. და ისე მოხდა, რომ თავისი აზრი ამ პროფესიის მნიშვნელობის, დედამიწაზე მისი გამოყენების შესახებ ვლადიმერ შატალოვმა სულ ეოტა ხნის წინათ გაგზავნილი შესვენებაზე პარტიის XXIV ყრილობის სხდომების შორის, რომლის დელეგატი იყო.

— ჩემი შთაბეჭდილებანი! — მკითხა და მაშინვე მიპასუხა — აქ, ყრილობათა დარბაზში, განსაკუთრებით გრძნობ, რომ კომუნისტთა მრავალმილიონიანი არმიის მებრძოლი ხარ. გრძნობ სხვების მხარდაჭერას. და აქედან მთელი ქვეყანა მგონი უკეთესად ჩანს, ვიდრე კოსმოსური ორბიტიდან. წარმოიდგინეთ, ჩემს მეზობლად ზის კოლმეურნე ქალი. რას ხედავს? რას ფიქრობს? რა თქმა უნდა, ხედავს თავის მინდვრებს, ფერმებს და ფიქრობს, ყრილობიდან რომ დაბრუნდება, რაც შეიძლება უკეთ მოაწყოს საქმეები. მეფოლადე ხედავს თავის საამქროს, მეშახტე — შახტს, კონსტრუქტორი — ვატმანის ფურცელს. ჩვენ კი, კოსმონავტები, — ბაიკონურს. და ვფიქრობთ, რომ ჩვენი შრომაც უერთდებოდეს რესპუბლიკის შრომას.

პოლიტირბუნული ფრენის პროგრამა უმთავრესად მიზნად ისახავს ახლო კოსმოსის ათვისებას. სწორედ აქ ისახება არა მარტო მეცნიერული კვლევის, არამედ ეკონომიკის ადამიანის პრაქტიკულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უდიდესი შესაძლებლობანი. თანამედროვეობა ეტაპზე კოსმონავტიკას სწორედ აქ შეუძლია მოგვეცეს მაქსიმალური ეფექტი.

და როცა დავინახე, რა მხურვალედ მსჯელობდა შატალოვი კოსმოსის ათვისების პრობლემებზე, რამდენად დაინტერესებული იყო ამ საქმით, მივხვდი: თენდება კოსმონავტიკის ახალი დღე.

ყრილობის დელეგატი

...კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზი ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ, უზარმაზარი დარბაზის გაჩხვრიტ დგას მაგიდები, სადაც მიმდინარეობს სკკპ XXIV ყრილობის დელეგატების რეგისტრაცია. ეკვეა წარწერები — პარტიულ ორგანიზაციათა სახელწოდებანი. ისმის სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა საუბარი.

დარბაზში სულ ახალ-ახალი დელეგაციები შემოდიან. მოსკოვის საოქმო პარტიული ორგანიზაციის დელეგატებს შორის მოდის მაღალი ქერა პოლკოვნიკი, რომელსაც მკერდს უმშვენებს საბჭოთა კავშირის გმირის ორი ოქროს ვარსკვლავი. მასთან მოდის მისი ამხანაგი, აგრეთვე ორგზის გმირი. მაშინვე ვიცანით ვლადიმერ შატალოვი და ალექსი ელისეევი...

ა. ს. ელისეევმა ანკეტა მიიღო და მაგიდას მიუჯდა. ვხედავთ, როგორ ივსება ქაღალდი სიტყვებით. დელეგატმა ჩაწერა გვარი, სახელი და მამის სახელი, პარტიული ბილეთის ნომერი, რომელმა პარტიულმა ორგანიზაციამ გამოგზავნა ყრილობაზე დელეგატად. გრაფაში — წინათ თუ იყო არჩეული დელეგატად სკკპ ყრილობებზე და, სახელდობრ რომელზე, კოსმონავტმა ჩაწერა მოკლე პასუხი „არა“. ეს ბუნებრივიცაა, პარტიის XXIII ყრილობის წელს ალექსინმ ისის იყო დაიწყო ფრენისათვის მზადება კოსმონავტთა რაზმში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში იგი მიიღეს 1967 წელს.

ყრილობის გახსნის დაუვიწყარი დღე. 1971 წლის 30 მარტს კრემლის სასახლემ გულღიად მიიღო ეკვეა ათასი დელეგატი და სტუმარი, მათ შორის საზღვარგარეთელი სტუმრები. შატალოვთან და ელისეევთან ერთად ყრილობაზე არიან კოსმოსის სხვა გმირებიც — დელეგატები ანდრიან ნიკოლაევი, ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა, გიორგი ბერეგოვოი.

სხდომებს შუა შესვენებების დროს ელისეევის გარშემო ყოველთვის ბევრი ხალხია. კოსმონავტთან საუბარი სწყურდათ კალუგელებს, იგი ხომ ციოლკოვსკის მიწა-წყალზე დაიბადა. ელისეევი თანამემამულედ მიაჩნიათ მოსკოველებსაც. აქ იგი სწავლობდა სკოლაში, დაამთავრა ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, დაიწყო მუშაობა საკონსტრუქტორო ბიუროში, დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. კოსმონავტი თანამემამულედ მიაჩნიათ ყაზახეთის დელეგატებსაც, ვინაიდან იგი კოსმოსიდან დაბრუნების შემდეგ ორჯერ დაჯდა ყაზახეთის მიწაზე.

გულითადი იყო ალექსი ელისეევის შეხვედრა ყრილობაზე სამგზის საბჭოთა კავშირის გმირთან ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკთან ალექსანდრე ივანეს ძე პოკრიშკინთან.

სამამულო ომის გმირები, ისეთები, როგორიც პოკრიშკინია, ბავშვობიდანვე სამაგალითო იყო მისთვის. უკვე მაშინ იგი ფიქრობდა, თუ რა არის გმირობა და მამაცობა. წლოვანი რომ გახდა, უთხრა საკუთარ თავს: „გმირობა მამაცობის ყველაზე მკაფიო გამოსატყვლებაა, ხოლო მამაცობა — ნებისყოფაა, მიზანსწრაფვაა, და არა მცირე და პირადულ საქმეში, არამედ დიდ, საზოგადოებრივად საჭირო საქმეში“.

ალექსი ელისეევს უდიდესი ავტორიტეტი აქვს მოსვეჭილი ამხანაგებში. როცა ერთ-ერთ კოსმონავტს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ეფრინა, დასჭირდა დახასიათება, ანდრიან ნიკოლაევმა გადაწერით თქვა: „ელისეევს მოელაპარაკეთ. ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, აბსოლუტურად სწორია. სხვების აზრი აღარ დაგჭირდებათ“.

სკკპ XXIV ყრილობაზე სხვა დელეგატებთან ერთად ალექსი სტანისლავის-ძემ ხმა მისცა ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივებს. დირექტივები ახალ პერსპექტივებს უსახავს იმათაც, ვინც სწავლობს და ითვისებს კოსმოსს.

ერთხელ, მორიგი სხდომის შემდეგ ჩვენ და ელისეევი ყრილობათა სასახლის ფოიეში ვისხედით, ვითარება გულახდილი საუბრის ბუნებაზე გვაყენებდა. ჩვენ ვკითხეთ კოსმონავტს:

— მესამეჯერ რომ მოგიხდეთ გაფრენა, როგორ მოეკიდებოდით ამას?

ელისეევი არც კი დაფიქრებულა, ერთბაშად გვიპასუხა:

— კოსმონავტი — ეს პროფესიაა. თუ მომავლდნენ მონაწილეობა მიეიღო კოსმოსის შემდგომ კვლევაში, ამით დიდ პატივს დამდებენ. ჩემი აზრით, კოსმონავტისათვის ერთობ სასარგებლოა დაეუფლოს რაიმე სპეციალიზაციას, მონაწილეობა მიიღოს ერთი მიმართულების პრობლემათა გადაჭრაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ახალი ხუთწლეული ამოცანაა ჩაყენოს კოსმოსი ადამიანის სამსახურში. ეს არის ყველა ჩვენი გამოკვლევის მიზანი.

— მომავალი კი! — ელისეევი ცოტა ხანს ჩაფიქრდა. — მომავალზე რომ ვფიქრობ, ყოველთვის მინდა გავაფართოო დროის ჩარჩოები, გავხედო შორეულ პერსპექტივას. ჩემს გონებას სულ უფრო სწრაფად ეუფლება იმ აღმაჩენათა მომზადების პრობლემა, რომელთაც უნდა მივანდოთ კოსმოსის შემდგომი მიჯნების ათვისების ურთულესი სამუშაო. სპეციალისტებმა ხომ უკვე ახლა უნდა შეიძინონ გამოცდილება და დაეუფლონ უდიდეს ცოდნას, რათა აწარმოონ კვლევა ახალი ამოცანების ფართო დიაპაზონით.

პროფესია მოწოდებით

— იგი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტია. აქვს სულ ცოტა ხნის წინათ შექმნილ ხელსაწყოებზე მუშაობის დიდი გამოცდილება. შრომობს ბევრს და თავდადებით. ყოფილა შემთხვევები, როცა დღე და ღამე ერთიანებია დასახული მიზნის მისაღწევად. იგი სულითა და გულით ეძლევა მუშაობას. — ასე დაახასიათა კოსმონავტმა ალექსი ელისეევმა ნიკოლოზ რუკავიშნიკოვი. შემდეგ კი ღიმილით დასძინა, — ამავე დროს ნიკოლოზი კეთილი, თავმდაბალი, უთუოდ გაბედული კაციაო.

ელისეევი ხალისით გვიამბობდა, როგორც კაცზე, რომელიც ნამდვილად უყვარს და პატივს სცემს.

— გარეგნულად რუკავიშნიკოვი თითქოს არაფრით არ იპყრობს ყურადღებას, მაგრამ მაშინვე გხიბლავს. არც ჯანღონით აღსავსე ჩანს. გულახდილად უნდა გითხრათ, როცა პირველად დავინახე, გავიფიქრე: ექიმები აუცილებლად მოიდგებიან-მეთქი. მაგრამ შევიდე. გამოიჭვა, რომ ნიკოლოზი ჩინებული ჯანმრთელობისა ყოფილა. თუმცა, სჩრის „სენი“ — ველოსიპედი ყვარს! შესაძლებლობა რომ ჰქონდეს, ყოველდღე ველოსიპედით იარდა. მეორე „სენია“ მოგზაურობა, და მესამე — რადიოტექნიკა.

რუკავიშნიკოვმა დაამთავრა მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკური ინსტიტუტი, სადაც 1951 წელს ჩაირიცხა. იქ შეიძინა არა მარტო ცოდნა, არამედ მეცნიერული, კვლევითი საქმიანობის პირველი ჩვევებიც.

ინსტიტუტში გვიჩვენეს სტუდენტ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რუკავიშნიკოვის საალრიცხვო ბარათი. ფოტოსურათიდან პატარა ბიჭი გვიცქერის. მაღალი შუბლი, გრუზა თმა, საყელო გახსნილი. ასეთი ახსოვთ იგი სტუდენტებს ან ბალიანოვსკაიას ქუჩის № 12 სახლის მცხოვრებლებს, სადაც მაშინ ცხოვრობდა რუკავიშნიკოვების ოჯახი. ბუნებრივია, რუკავიშნიკოვს მოუხდა ბევრი ახალი მეთოდიკის, ახალი მოწყობილობის ათვისება. ამას კი წლები დასჭირდა.

და აი, ახლა მოვიდა ის, რასაც ესწრაფვოდა მთელი ამ ხნის მანძილზე, — კოსმოსი, მუშაობა.

ბ. ლუკიანოვი,
ვ. სტეპანოვი,
საქდესის სპეც. კორ.

„სოიუზ-10“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი: ბორტ-ინჟინერი ა. ს. ელისეევი, მეთაური ვ. ა. შატალოვი, ინჟინერ-გამომცდელი ნ. ნ. რუკავიშნიკოვი ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტში კრემლში.

ფოტო საქდესისა. (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

ბ ო ლ ო ვ ი ს ა ვ ი ნ ა ხ ვ ა

ინ ფ ო რ მ ა ც ი ა

ახალი სტარტი „სოიუზ-10“ ხომალდი კოსმოსურ სივრცეში წავიდა. ბორტზე არიან ხომალდის მეთაური, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, პოლკოვნიკი ვ. ა. შატალოვი, ბორტ-ინჟინერი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ს. ელისეევი და ინჟინერ-გამომცდელი ნ. ნ. რუკავიშნიკოვი.

მოგითხრობთ „სოიუზ-10“ ხომალდის ეკიპაჟის წევრებზე.

ყ რ ი ლ ო ბ ი ს დ ე ლ ე გ ა ტ ი

...კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზი ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ, უზარმაზარი დარბაზის გაჩხვრიტ დგას მაგიდები, სადაც მიმდინარეობს სკკპ XXIV ყრილობის დელეგატების რეგისტრაცია. ეკვეა წარწერები — პარტიულ ორგანიზაციათა სახელწოდებანი. ისმის სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა საუბარი.

დარბაზში სულ ახალ-ახალი დელეგაციები შემოდიან. მოსკოვის საოქმო პარტიული ორგანიზაციის დელეგატებს შორის მოდის მაღალი ქერა პოლკოვნიკი, რომელსაც მკერდს უმშვენებს საბჭოთა კავშირის გმირის ორი ოქროს ვარსკვლავი. მასთან მოდის მისი ამხანაგი, აგრეთვე ორგზის გმირი. მაშინვე ვიცანით ვლადიმერ შატალოვი და ალექსი ელისეევი...

ა. ს. ელისეევმა ანკეტა მიიღო და მაგიდას მუჯდა. ვხედავთ, როგორ ივსება ქაღალდი სიტყვებით. დელეგატმა ჩაწერა გვარი, სახელი და მამის სახელი, პარტიული ბილეთის ნომერი, რომელმა პარტიულმა ორგანიზაციამ გამოგზავნა ყრილობაზე დელეგატად. გრაფაში — წინათ თუ იყო არჩეული დელეგატად სკკპ ყრილობებზე და, სახელდობრ რომელზე, კოსმონავტმა ჩაწერა მოკლე პასუხი „არა“. ეს ბუნებრივიცაა, პარტიის XXIII ყრილობის წელს ალექსინმ ისის იყო დაიწყო ფრენისათვის მზადება კოსმონავტთა რაზმში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში იგი მიიღეს 1967 წელს.

ყრილობის გახსნის დაუვიწყარი დღე. 1971 წლის 30 მარტს კრემლის სასახლემ გულღიად მიიღო ეკვეა ათასი დელეგატი და სტუმარი, მათ შორის საზღვარგარეთელი სტუმრები. შატალოვთან და ელისეევთან ერთად ყრილობაზე არიან კოსმოსის სხვა გმირებიც — დელეგატები ანდრიან ნიკოლაევი, ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა, გიორგი ბერეგოვოი.

სხდომებს შუა შესვენებების დროს ელისეევის გარშემო ყოველთვის ბევრი ხალხია. კოსმონავტთან საუბარი სწყურდათ კალუგელებს, იგი ხომ ციოლკოვსკის მიწა-წყალზე დაიბადა. ელისეევი თანამემამულედ მიაჩნიათ მოსკოველებსაც. აქ იგი სწავლობდა სკოლაში, დაამთავრა ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, დაიწყო მუშაობა საკონსტრუქტორო ბიუროში, დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. კოსმონავტი თანამემამულედ მიაჩნიათ ყაზახეთის დელეგატებსაც, ვინაიდან იგი კოსმოსიდან დაბრუნების შემდეგ ორჯერ დაჯდა ყაზახეთის მიწაზე.

გულითადი იყო ალექსი ელისეევის შეხვედრა ყრილობაზე სამგზის საბჭოთა კავშირის გმირთან ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკთან ალექსანდრე ივანეს ძე პოკრიშკინთან.

სამამულო ომის გმირები, ისეთები, როგორიც პოკრიშკინია, ბავშვობიდანვე სამაგალითო იყო მისთვის. უკვე მაშინ იგი ფიქრობდა, თუ რა არის გმირობა და მამაცობა. წლოვანი რომ გახდა, უთხრა საკუთარ თავს: „გმირობა მამაცობის ყველაზე მკაფიო გამოსატყვლებაა, ხოლო მამაცობა — ნებისყოფაა, მიზანსწრაფვაა, და არა მცირე და პირადულ საქმეში, არამედ დიდ, საზოგადოებრივად საჭირო საქმეში“.

ალექსი ელისეევს უდიდესი ავტორიტეტი აქვს მოსვეჭილი ამხანაგებში. როცა ერთ-ერთ კოსმონავტს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ეფრინა, დასჭირდა დახასიათება, ანდრიან ნიკოლაევმა გადაწერით თქვა: „ელისეევს მოელაპარაკეთ. ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, აბსოლუტურად სწორია. სხვების აზრი აღარ დაგჭირდებათ“.

სკკპ XXIV ყრილობაზე სხვა დელეგატებთან ერთად ალექსი სტანისლავის-ძემ ხმა მისცა ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივებს. დირექტივები ახალ პერსპექტივებს უსახავს იმათაც, ვინც სწავლობს და ითვისებს კოსმოსს.

ერთხელ, მორიგი სხდომის შემდეგ ჩვენ და ელისეევი ყრილობათა სასახლის ფოიეში ვისხედით, ვითარება გულახდილი საუბრის ბუნებაზე გვაყენებდა. ჩვენ ვკითხეთ კოსმონავტს:

— მესამეჯერ რომ მოგიხდეთ გაფრენა, როგორ მოეკიდებოდით ამას?

ელისეევი არც კი დაფიქრებულა, ერთბაშად გვიპასუხა:

— კოსმონავტი — ეს პროფესიაა. თუ მომავლდნენ მონაწილეობა მიეიღო კოსმოსის შემდგომ კვლევაში, ამით დიდ პატივს დამდებენ. ჩემი აზრით, კოსმონავტისათვის ერთობ სასარგებლოა დაეუფლოს რაიმე სპეციალიზაციას, მონაწილეობა მიიღოს ერთი მიმართულების პრობლემათა გადაჭრაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ახალი ხუთწლეული ამოცანაა ჩაყენოს კოსმოსი ადამიანის სამსახურში. ეს არის ყველა ჩვენი გამოკვლევის მიზანი.

— მომავალი კი! — ელისეევი ცოტა ხანს ჩაფიქრდა. — მომავალზე რომ ვფიქრობ, ყოველთვის მინდა გავაფართოო დროის ჩარჩოები, გავხედო შორეულ პერსპექტივას. ჩემს გონებას სულ უფრო სწრაფად ეუფლება იმ აღმაჩენათა მომზადების პრობლემა, რომელთაც უნდა მივანდოთ კოსმოსის შემდგომი მიჯნების ათვისების ურთულესი სამუშაო. სპეციალისტებმა ხომ უკვე ახლა უნდა შეიძინონ გამოცდილება და დაეუფლონ უდიდეს ცოდნას, რათა აწარმოონ კვლევა ახალი ამოცანების ფართო დიაპაზონით.

პ რ ო ფ ე ს ი ა მ ო წ ო დ ე ბ ი თ

— იგი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტია. აქვს სულ ცოტა ხნის წინათ შექმნილ ხელსაწყოებზე მუშაობის დიდი გამოცდილება. შრომობს ბევრს და თავდადებით. ყოფილა შემთხვევები, როცა დღე და ღამე ერთიანებია დასახული მიზნის მისაღწევად. იგი სულითა და გულით ეძლევა მუშაობას. — ასე დაახასიათა კოსმონავტმა ალექსი ელისეევმა ნიკოლოზ რუკავიშნიკოვი. შემდეგ კი ღიმილით დასძინა, — ამავე დროს ნიკოლოზი კეთილი, თავმდაბალი, უთუოდ გაბედული კაციაო.

ელისეევი ხალისით გვიამბობდა, როგორც კაცზე, რომელიც ნამდვილად უყვარს და პატივს სცემს.

— გარეგნულად რუკავიშნიკოვი თითქოს არაფრით არ იპყრობს ყურადღებას, მაგრამ მაშინვე გხიბლავს. არც ჯანღონით აღსავსე ჩანს. გულახდილად უნდა გითხრათ, როცა პირველად დავინახე, გავიფიქრე: ექიმები აუცილებლად მოიდგებიან-მეთქი. მაგრამ შევიდე. გამოიჭვა, რომ ნიკოლოზი ჩინებული ჯანმრთელობისა ყოფილა. თუმცა, სჩრის „სენი“ — ველოსიპედი ყვარს! შესაძლებლობა რომ ჰქონდეს, ყოველდღე ველოსიპედით იარდა. მეორე „სენია“ მოგზაურობა, და მესამე — რადიოტექნიკა.

რუკავიშნიკოვმა დაამთავრა მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკური ინსტიტუტი, სადაც 1951 წელს ჩაირიცხა. იქ შეიძინა არა მარტო ცოდნა, არამედ მეცნიერული, კვლევითი საქმიანობის პირველი ჩვევებიც.

ინსტიტუტში გვიჩვენეს სტუდენტ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რუკავიშნიკოვის საალრიცხვო ბარათი. ფოტოსურათიდან პატარა ბიჭი გვიცქერის. მაღალი შუბლი, გრუზა თმა, საყელო გახსნილი. ასეთი ახსოვთ იგი სტუდენტებს ან ბალიანოვსკაიას ქუჩის № 12 სახლის მცხოვრებლებს, სადაც მაშინ ცხოვრობდა რუკავიშნიკოვების ოჯახი. მასწავლებლები ვ. ვ. ზალიმოვი და ა. ა. სოკოლოვი, რომლებიც ნიკოლოზის წინასწარიკოლმო პრაქტიკას ხელმძღვანელობდნენ, იგონებენ, რომ ჯერ კიდევ სტუდენტების დროს გამოიჩინა მან მისწრაფება მეცნიერული მუშაობისადმი, გამოირჩეოდა დიდი შრომისმოყვარეობით, საზრიანობით, ცნობისმოყვარეობით, გამჭრიახი ჭკუით. ინსტიტუტის პრორექტორის ი. ტ. გუსევის (იმ წლებში ფაკულტეტის დეკანის მოადგილე იყო) თქმით, ჭაბუკი მუყაითად სწავლობდა, ერთ-ერთ უძლიერეს სტუდენტად ითვლებოდა. კარგად ერკვეოდა მათემატიკასა და ფიზიკაში. განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენდა ტექნიკური მეცნიერებებისადმი. მეხუთე კურსზე ფრიადოსანი ვახდა. სწავლა არ უშლიდა ნიკოლოზს ბევრი დრო დაეთმო საზოგადოებრივი მუშაობისათვის, სპორტისათვის.

ინსტიტუტში დაცულია 1957 წლის დიპლომების ჟურნალის დავთარი. 332 ნომრით აღნიშნულია კომკავშირელი ნ. ნ. რუკავიშნიკოვი. 13 მაისს სადიპლომო პროექტის დაცვის შემდეგ სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ გადაწყვიტა მიენიჭებინა მისთვის ინჟინერ-ფიზიკოსის კვალიფიკაცია სპეციალობით „დიელექტრიკები და ნახევარგამტარები“. რუკავიშნიკოვმა დაამთავრა ელექტრონულგამოსათვლელ მოწყობილობათა და ავტომატიკის საშუალებათა ფაკულტეტი. 12 ივნისს ნიკოლოზმა ხელი მოაწერა დავთარში, რომ მიიღო დიპლომი № 030601.

მის წინაშე გადაიშალა მეცნიერების გზა, რომელსაც ესწრაფვოდა მთელი სულითა და გულით, მთელი თავისი არსებით. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებიდან ათი წლის შემდეგ ახალგაზრდა მეცნიერი კოსმონავტთა რაზმში მ

საბჭოთა კავშირ-ფინეთის ერთობლივი კომუნიკე

სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით 19-23 აპრილს საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ფინეთის პრემიერ-მინისტრი ატტი კარიალაინენი.

ვიზიტის დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინსა და ფინეთის პრემიერ-მინისტრს ა. კარიალაინენს შორის გაიმართა მოლაპარაკება და აზრთა ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. მოლაპარაკება და აზრთა ურთიერთგაზიარება მიმდინარეობდა მეგობრობის, გულახდილობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით.

საბჭოთა მხარემ, ნათქვამია საბჭოთა კავშირ-ფინეთის ერთობლივ კომუნიკეში, ფინეთის მხარეს გააცნო სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი. ამასთან აღინიშნა, რომ ისინი ახალ შესაძლებლობებს სახავენ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის.

ორივე მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სსრ კავშირსა და ფინეთს შორის წარმატებით ვითარდება მეგობრული ურთიერთობა, რომელსაც აქვს მტკიცე საფუძველი — მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის ხელშეკრულება. ამასთან მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს ხელშეკრულების დიდი მნიშვნელობა ჩრდილოეთ ევროპაში და ევროპის მთელ კონტინენტზე მშვიდობისა და უშიშროების დაცვისა და განმტკიცების საქმისათვის. მხარეთა აზრით, მაღალ დონეზე კონტაქტების განგრძობა და გაღრმავება სასარგებლოა ორმხრივი ურთიერთობის განვითარებისათვის და ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო საკითხებზე აზრთა გაზიარებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ა. კარიალაინენმა, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ორი ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობისა და ეკონომიური თანამშრომლობის სხვა ფორმების შემდგომ განვითარებას, ხელი მოაწერეს სსრ კავშირსა და ფინეთს შორის ეკონომიური, ტექნიკური და სამრეწველო თანამშრომლობის განვითარების ხელშეკრულებას.

მხარეებმა განიხილეს ორი ქვეყნის ეკონომიური თანამშრომლობის პრაქტიკული საკითხები. ორივე მხარე კმაყოფილებით შეხვდა იმას, რომ შეთანხმდნენ და ხელი მოაწერეს ოქმებს საბჭოთა კავშირიდან ფინეთში ბუნებრივი გაზისა და ფინეთიდან საბჭოთა კავშირში ფოლადის მილების მიწოდების, აგრეთვე სსრ კავშირში პიაოზერის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის შენებლობის შესახებ. აღინიშნა, რომ ფინეთში საბჭოთა კავშირის მონაწილეობით წარმატებით შენდება ატომური ელექტროსადგური. სსრ კავშირი ფინეთის პრემიერ-მინისტრის ა. კარიალაინენის ყოფნის დროს ხელი მოაწერეს ოქმს ფინეთის მეორე ატომური ელექტროსადგურის შენებლობაში თანამშრომლობის შესახებ.

წარმოებს აგრეთვე მოლაპარაკება, რომ საბჭოთა ორგანიზაციებმა მიიღონ მონაწილეობა ქალაქ რაიჰეს მეტალურგიული კომბინატის გაფართოებაში, რომელიც აშენდა საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური დახმარებით, აგრეთვე იმის შესახებ, რომ ფინეთის ფირმებმა მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა კავშირში ხე-ტყისა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის საწარმოთა რეკონსტრუქციისა და მშენებლობაში.

ორივე მხარემ აღნიშნა, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, რომ ფინეთის საგარეოპოლიტიკური კურსი — „პაასიკივი-კეკონენის ხაზი", რომელსაც საფუძვლად უდევს ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს 1948 წელს და გაგრძელეს 1970 წელს, უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის მტკიცე განვითარებას, გამოხატავს ფინეთის მისწრაფებას — ახორციელებდეს მშვიდობისმყოფარულ ნეიტრალურ პოლიტიკას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის და ჰქონდეს მეგობრული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან. ვიზიტის დროს ფინეთის პრემიერ-მინისტრმა კვლავ დაადასტურა, რომ ომისა და მშვიდობის საკითხებში ფინეთი, ბუნებრივია, ნეიტრალური კი არ არის, არამედ ყოველთვის მშვიდობის მომხრე და ომის წინააღმდეგია. ეს ნიშნავს, რომ ფინეთის საგარეო პოლიტიკის საერთო მიზანია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ყოველ სიტუაციაში საკითხთა მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის ხელშეწყობის გზით.

საერთაშორისო მდგომარეობის გამო აზრთა ურთიერთგაზიარების დროს მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა მოწესრიგება მოხდეს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის მთლიანად შესრულების საფუძველზე.

ფინეთის პრემიერ-მინისტრის ა. კარიალაინენის ოფიციალური ვიზიტი სსრ კავშირში, ნათქვამია ოსლოსრულ ნეიტრალურ პოლიტიკას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის და ჰქონდეს მეგობრული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან. ვიზიტის დროს ფინეთის პრემიერ-მინისტრმა კვლავ დაადასტურა, რომ ომისა და მშვიდობის საკითხებში ფინეთი, ბუ-

ნიდერლანდის მთავრობის პასუხი

ნიდერლანდის ელჩი სსრ კავშირში ა. რ. ტამენომს ბაკერი 22 აპრილს ეწვია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს და გადასცა ნიდერლანდის მთავრობის პასუხი საბჭოთა მთავრობის ამა წლის 15 აპრილს იმ განცხადების თაობაზე, რომელიც შეიხებოდა სსრ კავშირის ამსტერდამის საგაჭრო წარმომადგენლობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებრივ აქტს.

ნიდერლანდის მთავრობის პასუხში აღნიშნულია, რომ იგი გმობს ამ დანაშაულებრივ აქტს და სინანულს გამოთქვამს ამის გამო, აგრეთვე ღრმა თანაგრძნობას უცხადებს საგაჭრო წარმომადგენლობის დაზარალებულ თანამშრომლებს. ნიდერლანდის მთავრობა, ნათქვამია პასუხში, აცხადებს, რომ მზად არის აანაზღაუროს საგაჭრო წარმომადგენლობის შენობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი.

პასუხში აგრეთვე ნათქვამია, რომ ნიდერლანდის ხელისუფლებმა განახორციელეს ღონისძიებანი, რათა მონახონ დამნაშავეები და უზრუნველყონ ნიდერლანდში საბჭოთა დაწესებულებებისა და მათი პერსონალის ყოველი ღონისძიებით დაცვა.

ამერიკა-ჩინეთის კონტაქტები

ნიუ-იორკი. 22 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბუშმა გუშინ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაამთავრა ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობის განხილვა და ამჟამად აყალიბებს თავის პოლიტიკას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ.

ბუშმა აღნიშნა, რომ ეს ხდება ყველაზე მაღალ დონეზე. მაგრამ, როგორც მან თქვა, საბოლოო გადაწყვეტილება მთავრობას ჯერ არ მიუღია და უახლოეს დროში გამოაცხადებს.

ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობა მან დაახასიათა როგორც „დათბობა".

მსოფლიო დღეს

სოფია — გულგარეთის კომპარტიის X ყრილობა

28 აპრილი. (საკდესი). აქ მუშაობას განაგრძობს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობა.

დღეს დელეგატები და სტუმრები სხდომაზე მოვიდნენ აღელვებულნი ცნობით, რომ საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-10", რომლის ეკიპაჟში შედიან ვ. ა. შატალოვი, ა. ს. ელისეევი და ნ. ნ. რუკავიშნიკოვი.

ყრილობის თავმჯდომარემ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ი. მიხაილოვმა წაიკითხა ცნობა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი წარმატების შესახებ. საბჭოთა ხალხის, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი გმირობა უდიდესი სიხარულით აღავსებს ჩვენს გულს, თქვა მან. ყრილობის პრეზიდიუმის სახელით ი. მიხაილოვმა შეიტანა წინადადება მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. კოცევმა წაიკითხა ტექსტი ბულგარეთის კომპარტიის X ყრილობის მისასალმებელი დეპეშისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. ყრილობის დელეგატებმა მქუხარე ტაშით მიიღეს მისალმება.

საქმიანად, მაღალი აქტიურობით გრძელდება ყრილობაზე ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების, ბულგარეთის კომპარტიის პროგრამისა და 1971-1975 წლებში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დირექტივების განხილვა.

პოლიტიკური ვითარება ბელგიაში

ბრიუსელი

28 აპრილი. (საკდესი). ამ ბოლო დროს ბელგიაში გამწვავდა შინაპოლიტიკური ვითარება. 21 აპრილს გაიმართა მინისტრთა კაბინეტის სხდომა, რომელმაც დაადასტურა, რომ მთავრობაში სერიოზული უთანხმოებანი ფასების პოლიტიკისა და ქვეყნის წინაშე დასმული მთელი რიგი ეკონომიური პრობლემების გადაჭრის გამო. ეს უთანხმოებანი, რომლებიც წარმოშვა უწინარეს ყოვლისა ახლანდელი მთავრობის კოალიციის მონაწილეებს — სოციალ-ქრისტიანული პარტიისა და სოციალისტური პარტიის წევრ მინისტრებს შორის, — გამოხატავენ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებას.

ფასების ზრდა და ინფლაციის გაძლიერება, მშრომელთა მოძრაობა თავიანთი უფლებების დასაცავად, გლეხობისა და მოსახლეობის საშუალო ფენების მზარდი უკმაყოფილება, საბიუჯეტო პოლიტიკის სიძნელენი — ყოველივე ეს აფერხებს მინაპოლიტიკურ სიძნელეთა მოწესრიგებას ბელგიაში.

ნაპრწყალი, რომელმაც გამოიწვია წინააღმდეგობათა გამწვავება მთავრობაში, იყო კანონპროექტი ფასებზე კონტროლის დაწესების შესახებ, რომელიც მოამზადა პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და ეკონომიკის მინისტრმა სოციალისტმა ა. კოოლსმა. კანონპროექტი ითვალისწინებს უფრო მკაცრი კონტროლის დაწესებას ფასებზე და ცალკეული კომპანიებისა და ფირმების პოლიტიკაზე ამ დარგში. კანონპროექტი მოამზადეს იმასთან დაკავშირებით, რომ ბელგიის მშრომელი მოსახლეობის ფართო მასები მოითხოვენ ბოლო მოეღოს ფასების სისტემატურ ზრდას.

მაგრამ კოოლსის კანონპროექტით გათვალისწინებულ ფრიად შეზღუდულ და ზოგჯერ არათანმიმდევრულ ღონისძიებებსაც კი შეშფოთებით შეხვდნენ ქვეყნის მემარჯვენე წრეები, მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია. მათ კოოლსის კანონპროექტი აღიქვეს როგორც „აკრძო ინიციატივაზე თავდასხმის" ცდა.

მეორე მხრივ, პროფკავშირებმა, აგრეთვე კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს კოოლსის კანონპროექტს, მოუწოდეს მთავრობას კიდევ უფრო ენერგიული ღონისძიებანი იხმაროს მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად. თვით ა. კოოლსმა განაცხადა, როგორც გაზეთი „პეპლი" იუწყება, რომ გადადგება, თუ არ მისცეს საჭირო სახსრები ფასების პოლიტიკის წარმოებისათვის. მომხმარებელთა ინტერესების სასარგებლოდ. კოოლსის გადადგომას, როგორც ფიქრობენ, მოაყენებდა ყველა დანარჩენი სოციალისტი მინისტრის გადადგომა და მთავრობის დაცემა, მაშასადამე პარლამენტის ვადამდე არჩევნებიც.

დღეისათვის დანიშნულია მინისტრთა კაბინეტის ახალი სხდომა, რომელიც გვინვენებს, მოახერხებენ თუ არა დაძლიონ არსებული უთანხმოებანი თუ შეიქმნება კრიზისული სიტუაცია.

ქ. მარშეს გამოსვლა

კარიზი

28 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილე ჟორჟ მარშე გუშინ გამოვიდა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც მიმდინარეობს პარიზის ლეჟალუას გარეუბანში.

შეაჯამა რა მუნიციპალური არჩევნების შედეგები, ჟ. მარშემ აღნიშნა საფრანგეთის კომპარტიის პოზიციების განმტკიცება, ერთიანობისაობა მისწრაფების განვითარება საფრანგეთში.

საფრანგეთის კომპარტია, აღნიშნა ჟ. მარშემ, კვლავ დაიცავს მშრომელთა ინტერესებს და გადამწყვეტ და ქმედით დახმარებას გაუწევს მათ ბრძოლას მსხვილი კაპიტალის პოლიტიკის წინააღმდეგ.

გესტაპოს მეთოდები

ვაშინგტონი

23 აპრილი. (საკდესი). დემოკრატთა ლიდერმა წარმომადგენელთა პალატაში ჰეილ ბოგსმა განაცხადა, რომ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები სდევნიან, აშინებენ, შანტაჟს უწევენ და უთვალთვალებენ ამერიკელ ხალხს.

წარმომადგენელთა პალატაში გამოსვლისას ბოგსმა მოითხოვა გამოიკვლიონ გამოძიების ფედერალური ბიუროს — ამერიკის საიდუმლო პოლიციის საქმიანობა, რომელიც მიმართავს გესტაპოს მეთოდებს, აგრეთვე ისმენს კონგრესის წევრთა ტელეფონით საუბარს და ფარულად უთვალთვალებს მათ.

ბოგსის ბრალდებებს მხარი დაუჭირეს სენატორებმა მასკიმ და მაკ-ჰოვერნმა.

ფაქტები

● **გაიხსნა** ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე დღის წესრიგში პარტიის თანამედროვე ... ... XXIV ყრილობის შესახებ და პარტიის გენერალური მდივნის ა. აალტოს მოხსენება ფინეთის საშინაო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

● **ოსლოში** გაიხსნა ნორვეგიის კომუნისტური პარტიის მორიგი მე-18 ყრილობა. დღის წესრიგშია ნორვეგიის კომპარტიის ცენტრალური გამგეობის საანგარიშო მოხსენება, ხარვეზიო კომისიის ანგარიში, ინფორმაცია პარტიის პრინციპული პროგრამის მომზადების შესახებ, პარტიის თავმჯდომარისა და ნორვეგიის კომპარტიის ცენტრალური გამგეობის არჩევნები.

● **მარტა** უკანასკნელ ოთხ წელიწადში ცხოვრება ნიუ-იორკში თითქმის 25 პროცენტით გაძვირდა და კვლავაც ძვირდება. ამას მოწმობენ მონაცემები პარტში ფასების ზრდის შესახებ, რომლებიც შრომის სტატისტიკის ბიურომ გამოაქვეყნა.

● **მოსკოვისტე** დამრბევთა ჯგუფმა სცადა თავს დასხმოდა ლომბარდიის საოლქო საბჭოს წევრების მილანში უშუალოდ საბჭოს სხდომის დროს, რომელიც იხილავდა ფაშისტური პროვოკაციების გახშირებულ შემთხვევებს. შავხალათიანებს საკადრისი პასუხი გასცეს ყველა პარტიის წარმომადგენლებმა — კომუნისტური პარტიით დაწყებული და ქრისტიანულ-დემოკრატიულით დამთავრებული. პროვოკატორები გიქენენ, სამი მათგანი კი დაკავეს და პოლიციას გადასცეს.

● **უთოვლო** და უწვიმო ზამთარმა ირანის ბევრ რაიონში გვალვა გამოიწვია. განსაკუთრებით დაზარალდა სეისტანის, ფარსის პროვინციები და ხორასანის სამხრეთი რაიონები. გვალვის შედეგად ამ რაიონების მოსახლეობა განიცდის ხურსათის ნაკლებობას. დაიღუპა მარცვლეული კულტურების ადმონაცენები, მასობრივად გაწყდა პირუტყვი.

● **ჩეხოსლოვაკიის** მოსახლეობა შეადგენს 14 მილიონ 362 ათას კაცს. ამრიგად, მოსახლეობის რაოდენობა 612 ათასით გაიზარდა 1961 წელთან შედარებით, როცა მოეწყო მოსახლეობის უკანასკნელი აღწერა.

საკდესი-ასოშიეიტედ პრესი.

ანტისაბჭოთა დივერსია ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 28 აპრილი. (საკდესი). ნიუ-იორკში ბომბა კიდევ ერთი ანტისაბჭოთა დივერსიული აქტი; 22 აპრილს საშუშაო დღის დასთავრების შემდეგ 17 საათსა და 35 წუთზე ნიუ-იორკის დროით საბჭოთა დაწესებულება „ამტორგის" შენობაში აფეთქეს ბომბი. აფეთქებას მნიშვნელოვანი ზარალი მოჰყვა.

აფეთქების ადგილზე მისულმა პოლიციელებმა „ამტორგის" შენობაში აღმოაჩინეს კიდევ ერთი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც არ აფეთქებულა.

ეჭვს არ იწვევს, თუ ვინ იყო ამ საბოტაჟური პროვოკაციის ორგანიზატორი. იმ ბანდიტური სიონისტური ორგანიზაციის მეთაურმა, რომელიც თავის თავს ებრაელთა დაცვის ლიგას უწოდებს, კახანემ კორესპონდენტებს განუცხადა რომ ორგანიზაცია, რომელსაც იგი მეთაურობს, „სავსებით იწონებს ამ აქციას".

როგორც ცნობილია, ამერიკის ოფიციალურ წარმომადგენლებს არაერთხელ გაუკეთებიათ განცხადებანი, რომლებიც შეიცავდნენ დაბირებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იხმარს საჭირო ღონისძიებებს რათა უზრუნველყოს საბჭოთა დაწესებულებების უშიშროება ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ სინამდვილე გვიჩვენებს, რომ ფაქტიურად ამერიკის ხელისუფალნი ხელს აფარებენ სიონისტური ელემენტების პროვოკაციულ საქმიანობას, რომლებიც დანაშაულებრივ აქციებს სჩადიან საბჭოთა დაწესებულებების წინააღმდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ბურჟუაზიული დემოკრატია მოქმედებაში

● **სურათზე** თქვენ ხედავთ, თუ როგორ უსწორდება ბელზენკირჩენის (გფრ) პოლიცია მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეებს, რომლებიც პროტესტს გამოთქვამენ საგარეუბნო ტრანსპორტზე ფასების აწევის გამო. ამავე დროს კი ნეონაციტების გაპატიურება კვლავ დაუსჯელი რჩება. ფოტო ადნ-სკდესისა.

უცხოელი ჟურნალისტები საქართველოში

სამი დღეა საქართველოში სტუმრად არის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანელ ჟურნალისტთა კავშირთან არსებული სოლიდარობის სკოლის მსმენელთა ჯგუფი. ეს სკოლა 1963 წლიდან არსებობს, ყოველწლიურად მის კურსს გადიან აფრიკის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის განვითარებადი ქვეყნების ჟურნალისტები.

სოლიდარობის სკოლაში მისი მსმენელები ეცნობიან პრესის პრაქტიკას, სწავლობენ ჟურნალების, გაზეთების, რადიოს, ტელევიზიისა და საინფორმაციო სააგენტოების მუშაობას, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მსმენელებს გააცნონ სოციალიზმის ქვეყნების ცხოვრება, მათი ხალხების შრომა და ყოფა.

საქართველოს სტუმრები უკვე იყვნენ ჩეხოსლოვაკიაში, საიდანაც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ.

საქართველოში ყოფნის დროს უცხოელი ჟურნალისტები იყვნენ თბილისში, ეწვივნენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს, დაათვალიერეს ხელოვნების მუზეუმი. ისინი ეესტუმრნენ ტელესტუდიას, გაეცვნენ მის მუშაობას. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში ესაუბრნენ ქართველ კოლეგებს, აზრები გაუზიარეს რესპუბლიკის განათლების და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროების მუშაკებს. ისინი დაინტერესა ქართული პრესის მუშაობის პრაქტიკამ, უმაღლესი და საშუალო განათლების დაყენების საკითხებმა.

საქართველოში ყოფნის დროს უცხოელი ჟურნალისტები ეწვივნენ ქალაქ მცხეთას, დაათვალიერეს ისტორიული ძეგლები, პროგრამაში აქვთ აგრეთვე სტუმრობა რესპუბლიკის ერთ-ერთ საბჭოთა მეურნეობაში.

25 აპრილს უცხოელი ჟურნალისტები გაფრინდებიან მოსკოვს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საპირველმაისო ზეიმში. შემდეგ ისინი დაბრუნდებიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და დაამთავრებენ სოლიდარობის სკოლის კურსს.

(საკდესი).

რინგი თუ საპყრობილე?

ქუშ

ნიუ-იორკი. 28 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ. ე. ეგოროვი). მოჰამედ ალიმ გამოაცხადა, რომ — ვიდრე მატჩ-რევანშს გამართავდეს მსოფლიო ჩემპიონთან კრიგში ჯო ფრეზერთან, იგი შეხვდება არანაკლებ ცნობილ... კალათბურთელს უილტ ჩემბერლენს. ჩემბერლენი — ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიული კალათბურთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" „ვარსკვლავი" ფიქრობს, რომ შეუძლია წარმატება მოიპოვოს როგორც პროფესიონალმა მოკრივემ (იგი, სხვათა შორის, 27 კილოგრამით უფრო მძიმეა და 30 სანტიმეტრით უფრო მაღალი, ვიდრე ალი).

მაგრამ მხოლოდ ერთი საათი იყო გასული მას შემდეგ, რაც გამოაცხადეს, რომ გიმართებოდა ეს ორთაბრძოლა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი დახურული სტადიონის — ჰიუსტონის (ტეხასი) „ასტროდომის" ადმინისტრაციამ, სადაც დაგეგმილი იყო შეხვედრის მოწყობა, განაცხადა, რომ ალი ჩემბერლენის მატჩი გადადიო. გავრცელდა ხმები, რომ ჩემბერლენმა უკანასკნელ მომენტში უარი განაცხადა ხელი მოეწერა კონტრაქტისათვის.

მოკრივისა და კალათბურთელის ორთაბრძოლის გარშემო პერიპეტიები მაშინ გაჩაღდა, როცა ალის დაემუქრა დასატმრების საკასებით რეალური საფრთხე. ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ ეს-ეს არის მოისმინა ალის ადვოკატთა შუამდგომლობა უფრო დაბალი სასამართლო ინსტანციების განაჩენის გამო მისი აპელაციის თაობაზე. როგორც ცნობილია, დაბალი სასამართლო ინსტანციების განაჩენის თანახმად მოჰამედ ალიმ ხუთი წელი უნდა დაჰყოს საპატიმროში და გადაიხადოს ათი ათასი დოლარი ჯარიმა ამისათვის, რომ უარი განაცხადა ემსახურა არმიაში და საომრად წასულიყო ვიეტნამში. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების ზუსტი თარიღი ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, მაგრამ, როგორც ფიქრობენ, ამ გადაწყვეტილებას მიიღებენ ერთ-ორ თვეში.

— ყველაფერს თავიდან რომ ვიწყებდე, — განაცხადა ალიმ გაზეთ „დეილი უორლდის" კორესპონდენტ მაიკლ ჯეისათვის მიცემულ ინტერვიუში, — კვლავ უარს ვიტყოდი მემსახურა არმიაში, ისევე როგორც ეს ვქენი 1967 წელს. მან ქმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ვიეტნამის ომის თასსობით ვეტერანი მონაწილეობს ომისსაწინააღმდეგო დემონსტრაციებში, რომლებიც ახლა იმართება ვაშინგტონში.

ალი ახლა ბევრს მოგზაურობს კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, კითხულობს ლექციებს. თავისუფალ დროს იგი იშენებს სახლს ნიუ-ჯერსის შტატში, ჩერი ჰილში, სადაც იცხოვრებს მისი ოჯახი, თუ მას საპყრობილეში გაგზავნიან.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

ლონდონი

23 აპრილი. (საკდესი). გუშინ ლონდონში საიდუმლოების ვითარებაში გაიხსნა სეატის ზოოკის სამხედრო მრჩეველთა თათბირი, რომელიც წარმოადგენენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ფილიპინებისა და ტაილანდის შეიარაღებულ ძალებს. სეატომი შემავალი საფრანგეთისა და პაკისტანის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელნი არ იღებენ მონაწილეობას თათბირის მუშაობაში.

ბოლო დღე

ქარაგულ რესპუბლიკათა ფედერაცია

ლიბიის უძველეს ქალაქ ბენგაზში ამას წინათ მოხდა ამბავი, რომელმაც თვალსაჩინო როლი უნდა შეასრულოს არაბული სამყაროს ისტორიაში.

სამი სახელმწიფოს მეთაურებმა — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა და ლიბიის არაბთა რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ პოლკოვნიკმა მოამარ კადაფიმ 17 აპრილს აქ საზეიმო ვითარებაში მოაწერეს ხელი შეთანხმებას არაბულ რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნის შესახებ. იმავე დღეს ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მომავალში ამ ფედერაციას სუდანიც შეუერთდება.

ამ ამბის გამო პირველივე კომენტარებმა და გამოხმაურებამ ცხადყვეს, რომ მსოფლიოს მეტწილ დედაქალაქებში იგი მიიჩნიათ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯად, იმპერიალიზმისა და ახლო აღმოსავლეთში მისი აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ არაბულ სახელმწიფოთა ბრძოლის განმტკიცების გზაზე, პასუხად ტელ-ავივისა და ვაშინგტონის ახალ ხრიკებზე ამ რაიონში.

მართლაც, მიმდინარე წლის პირველმა თვეებმა დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ ისრაელ-ამერიკის ფუჭ განცხადებათა ტაქტიკა, თითქოს სურდეთ მოლაპარაკება ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოსაწესრიგებლად, სინამდვილეში მიზნად ისახავს ასეთი მოწესრიგების ჩაშლას. ამ ტაქტიკის მიზანია უსასრულოდ შეინარჩუნონ ახლანდელი სტატუს-კვო, რომლის პირობებში ისრაელი განაგრძობს არაბული ტერიტორიების ოკუპაციას. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ნათელ და რეალისტურ პოზიციას, რომლის მიზანია კრიზისი გადაიჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ცნობილი რეზოლუციის უფუოდ შესრულების საფუძველზე, ისრაელმა დაუპირისპირა ობსტრუქციის პოზიცია. ტელ-ავივსა და ვაშინგტონს, როცა, ასეთ ტაქტიკას მიმართავდნენ, არაბული ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების სასუსტისა და გათიშულობის იმედი ჰქონდათ.

არაბთა ერთიანობის პრობლემა ახლა განსაკუთრებით აქტუალურია. და ეს მხოლოდ იმით კი არ აიხსნება, რომ არაბულმა ქვეყნებმა უნდა განმტკიცონ თავიანთი ფრონტი ტელ-ავივისა და ვაშინგტონის ახალი ხრიკების წინააღმდეგ, არამედ იმითაც, რომ იორდანიაში გრძელდება ამ ქვეყნის მთავრობისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის კონფლიქტი. ამ კონფლიქტმა შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას არა მარტო თვით იორდანიას, არამედ აგრეთვე არაბთა საერთო ბრძოლას ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის. საიდუმლოება არ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ისრაელი ცდილობდნენ და ცდილობენ გამოიყენონ ძმათა ომი ამ ქვეყანაში, რათა განახორციელონ თავიანთი მტრული ზრახვები ახლო აღმოსავლეთში.

როგორც ნათქვამია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და ლიბიის დედაქალაქებში გამოქვეყნებულ დეკლარაციაში, ფედერაციის მიზანია შეიქმნას ისეთი სახელმწიფო, რომელიც იქნება ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებისა და ერთიანი არაბთა სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის არაბი ერის ბრძოლის მთავარი იარაღი. ამ დიდმნიშვნელოვან ამოცანათა შესრულებისათვის ფედერაციას მნიშვნელოვანი მატერიალური წანამძღვრები აქვს მის ტერიტორიაზე, რომელიც დაახლოებით 3 მილიონ კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, 40 მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს. ეგვიპტეს, ლიბიისა და სირიას აქვთ მდიდარი მინერალური რესურსები, განსაკუთრებით ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგი.

ფედერაციის უმაღლესი ორგანო იქნება პრეზიდენტთა საბჭო, შეიქმნება საერთო სამხედრო-სარდლობა, ეროვნული კრება, ფედერაციის სხვა ორგანოები. პრეზიდენტთა საბჭო განსაზღვრავს ფედერაციის საგარეო პოლიტიკას, გადაწყვეტს ომის და მშვიდობის საკითხებს, შეათანხმებს სამი რესპუბლიკის ეკონომიურ გეგმებს.

ამავე დროს ფედერაციაში შემავალი თვითეული რესპუბლიკა შეინარჩუნებს თავის ადგილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, უფლება ექნება ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი დაუდოს მესამე ქვეყნებს, გაუცვალოს მათ საელჩოები და საკონსულოები. გარდა ამისა, თვითეული რესპუბლიკა თავისუფლად განახორციელებს თავის საშინაო პოლიტიკას და ექნება საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაცია. დეკლარაციაში აღინიშნულია, რომ ფედერაცია „ღიაა ერთიანი არაბთა სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის მებრძოლი ყველა არაბული სახელმწიფოსათვის".

სამივე ქვეყანაში 1 სექტემბერს მოეწყობა საყოველთაოსახალხო რეფერენდუმი, რომელიც განიხილავს ფედერაციის შექმნის საკითხს. უახლოეს დროში ფედერაციის წესდებას განიხილავენ ამ ქვეყნების პოლიტიკური ორგანიზაციები, მთავრობები და საკანონმდებლო ორგანოები. ეს განხილვა გაიმართება ახლო აღმოსავლეთში იმპერიალიზმისა და მისი დამჭაშვების წინააღმდეგ ერთიანი პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო ფრონტის შექმნის ნიშნით.

სწორედ ეს იწვევს უდიდეს უკმაყოფილებასა და გაღიზიანებას დასავლეთის ზოგიერთ დედაქალაქში და უწინარეს ყოვლისა ვაშინგტონსა და ტელ-ავივში. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის ხელმძღვანელები ცდილობენ ისე წარმოადგინონ არაბულ რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნა, თითქოს ამან „ლახვარი ჩასცა ისრაელს, მოლაპარაკებას კრიზისის მოწესრიგების შესახებ". ეს „ვაი-ვაში" გასაგებია. როგორც კაიროს გაზეთი „ალ-აჰრამი" წერს, „ისრაელსა და მის მფარველებს ესმით, რომ ახალ ვითარებაში მთ გაუჭირდებათ ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის „გაყინვის" ტაქტიკის განხორციელება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ რეზოლუციების შეუსრულებლობა, რომლებიც გმობენ სხვისი ტერიტორიების ძალით დაპყრობას".

**არაბულ რესპუბლიკათა ფედერაცია ახლა ფეხს იდგამს. უდავოა, რომ მის გზაზე ბევრი სიძნელე იქნება. მაგრამ თვით მისი გამოცხ

სპეციალური მარკა

საბჭოთა საქართველოს ნახევარი საუკუნის იუბილეს გამო სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ გამოუშვა ახალი საფოსტო მარკა.

ელექტროსადგურის, ბრძოლის, პურის თავთავისა და ვაზის გრაფიკული გამოსახულების ფონზე მოჩანს საქართველოს სსრ სახელმწიფო ალამი. ალმის ზემოთ ბრწყინავს ციფრი „50“. ორივე მხარეზე რუსულად და ქართულად წარწერილია: „საქართველოს სსრ“. მარკის ღირებულებაა 4 კაპიკი. (საქდესი).

ზეახალი ვარსკვლავი

ახალგაზრდა ქართველი ასტრონომის აღმოჩენა

ფორეულ გალაქტიკაში ზეახალი ვარსკვლავი აღმოაჩინა 25 წლის ასტრონომმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერმა თანამშრომელმა გივი ქიმერიძემ. გალაქტიკა, რომელშიც ახლთო ეს ზეახალი ვარსკვლავი, მდებარეობს ქალწულის თანავარსკვლავედის მიმართულებით. აქამდე ამ გალაქტიკაში ზეახალი მნათობები ფიქსირებული არ ყოფილა. იგი დედამიწიდან დაშორებულია უზარმაზარი მანძილით — 35 მილიონი სინათლის წლით და 600 მილიონჯერ უფრო კაშკაშაა, ვიდრე მზე.

ვარსკვლავის აღმოჩენა იმის მეოხებით მოხერხდა, რომ ცის შორეულ სივრცეებს სისტემატურად უთვალთვალებენ სპეციალური ფოტოგრაფიული ტელესკოპით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა „მომოხილონ“ დიდი არე, ამასთან დაუმახინჯებლად მიიღონ ციური ობიექტების გამოსახულება.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. კ. ხარაძემ საქდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ქიმერიძის აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის. ზეახალ ვარსკვლავში ფიზიკური მოვლენები განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს. იგი წარმოიშვა გრანდიოზული მასშტაბის აფეთქების შედეგად. სულ რამდენიმე საათში მისი ნათობა შეიძლება გაიზარდოს ასეულ-ათასეულჯერ. აქ ვარსკვლავის წიაღიდან მახების მძლავრი ამოფრქვევა მიმდინარეობს წამში რამდენიმე ათასი კილომეტრი სიჩქარით. ვარსკვლავის გარშემო იქმნება კოლოსალური ნისლეული. ხაშუალოდ, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ზეახალი ვარსკვლავები დიდ გალაქტიკაში სამას წელიწადში ერთხელ ინთებიან. ზეახალი ვარსკვლავების ნაშთები ან მათ მიერ წარმოქმნილი ნისლეულები რადიოგამოსხივებათა წყაროები არიან. შესაძლოა, კოსმოსური სხივები ზეახალ ვარსკვლავებში წარმოიშობიან. ამიტომ მეცნიერები განსაკუთრებული ინტერესით მიმართავენ მათ იმისათვის, რომ გამოარკვიონ ციურ სხეულთა წარმოშობა. (საქდესი).



გაზაფხული თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

ფოტო მ. დათიკაშვილისა და რ. კაპარაშვილი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ჩვენი ახალი ფოსტიდან

● **გეგეჭკორი. კავშირგაბმულობის რაიონულმა კვანძმა სოფელ თამაკონში ააგო ფოსტის ახალი ხუთოთახიანი შენობა. აქ ცალკეა გამოყოფილი სატელეგრაფო და საფოსტო განყოფილებები.**

ს. ჯგერენაია.

● **ჯავა. რაიონულ ცენტრში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი, ლამაზი ორსართულიანი შენობა, რომელშიც მოთავსდებიან სახბანკის რაიონული კანტორა და რაიონული შემნახველი სალარო. შენობას აქვს კარგი სათავსები და კეთილმოწყობილი ეზო.**

ე. მელაძე.

● **ქობულეთი. რუსთაველის ქუჩაზე საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ ააგო ორსართულიანი კომფორტაბელური შენობა „სილამაზის სალონისათვის“.**

ო. კონცელიძე.

დედაქალაქს — მწვანე სამოსელი

გაზაფხულია. აუარებელი საზრუნავი აქვთ თბილისის გამწვანებლებს ტრესტის მუშაკებს. მზადდება ნიადაგი, ითხრება ორმოები, წარმოებს ხმელი ტოტების შეკრა, სასიარულო ბილიკების შეკეთება. მასობრივად მიმდინარეობს ხეების, ბუჩქებისა და ყვავილების რგვა, არსებული ობიექტები: ბაღების, სკვერების, ტყე-პარკების სხვადასხვა სახის მცენარეულობით გამდიდრება.

—ჩვენი კოლექტივი,— განაცხადა თბილისის გამწვანების ტრესტის მმართველმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა შალვა ისაკაძემ, — საქმიანად შეეგება კარგ თაოსნობას — რესპუბლიკაში საიუბილეოდ 50 მილიონი ხის დარგვას. დროულად დაისახა ღონისძიებანი, შეირჩა ტყის გასაშენებელი ადგილები, მომზადდა ნიადაგი, და აი შედეგიც — **საიუბილეო ვალდებულება — ტრესტის ხაზით დარგულიყო 200.000 ძირი ხე, წარმატებით შესრულდა და დღეისათვის დარგულია 260 ათასი დეკორატიული ხე და ბუჩქი. ახლა ტრესტის კოლექტივი აგრძელებს ხეების საგაზაფხულო რგვას.**

საიუბილეოდ კარგ საჩუქარს მიიღებენ თბილისელები. დედაქალაქს შეემატება თანამედროვე დეკორატიული მებადაურობის დონით შესრულებული 8 სკვერი, რომლებიც დაამშვენებენ ბაზალეთის, ახმეტელის, საბურთალოს ქუჩებს, ვაჟა-ფშაველას და მოსკოვის პროსპექტებს, სკვერები გაშენდება აგრეთვე ოქტომბრის რაიონში ბარათაშვილის ხიდისა და კიროვის რაიონში ფაბრიკა „კრწანისის“ მახლობელ მიდამოებში, აგრეთვე აეროპორტის ტერიტორიაზე.

განსაკუთრებით ლამაზად გაფორმდება საჰვენიბელი ბაღი პეკინის ქუჩაზე, აქ გამოყენებულია თანამედროვე საბაღო-საპარკო ხელოვნების ყველა მიღწევა. ბაღში გეხვდება ალპინარიუმები, ყვავილნარები, „ქვის ბაღი“, კერამიკული ნაწარმით: სურებით, ლარნაკებით გაფორმებული კუთხეები. მთაწმინდაზე მოეწყობა დეკორატიული კუთხე.

დიდ სიამოვნებას მიანიჭებს მნახველს ვრცელი აუზის შუაგულში ხელოვნურად შექმნილი კუნძული სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე. აქვე ცალკეულ პავილიონებთან გაშენდება სკვერები.

რუსთაველის პროსპექტის ცალკეულ უბნებზე ჭადრის ხეების შეენაცვლება საბაღო ფორმის მუხები. მუხის ეს სახეობა გამოირჩევა ვარჯის ლამაზი მოყვანილობით, ფოთლის მოზაიკითა და შეფერილობით.

ორიგინალური სკვერი მოეწყობა საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მახლობლად. სკვერს დაამშვენებს მცენარეულობასთან გემოვნებით შერწყმული მცირე არქიტექტურული ფორმები, საავარძლები, ლამპიონები.

ყოველდღიურად თბილისის საყვავილე მაღაზიები მიიღებენ 3000 ცალ ყვავილს.

მწვანე ნარგავები და საბაღო დეკორატიული ფორმები შეეგება მტკვრის მარჯვენა (რესტორან „არაგვიდან“ დაწყებული დიღმის მასივამდე) და მარცხენა სანაპიროებს, თბილისის ზღვის, ლისისა და კუს ტბის მახლობლად მდებარე ობიექტებს, ცირკის ფერდობებს და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თბილისის მიდამოებს —მთაწმინდის, ოქროყანის, ლეღვთახევის, ვაზისხევის, მახათის მთის და სხვ. გატყიანებას.

ცოტაც, და მწვანეში ჩაფლული შეეგებება საქართველოს საიუბილეო დღესასწაულს „მზის და ვარდების“ ქალაქი.

ნ. შენგელაია.

ჯანმრთელობის სადარაჯოზე

პროფესორ ა. კვალიაშვილის დაბადების 75 წლისთავის გამო

საბჭოთა საქართველოს გარიჟრაჟზე, 50 წლის წინათ საექიმო მოღვაწეობის სარბიელზე გამოვიდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ალექსანდრე არჩილის-ძე კვალიაშვილი.

ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებული ექიმი ალექსანდრე კვალიაშვილი 2 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა კახეთში, კეთილსინდისიერად ემსახურებოდა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს და მშრომელთა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. თავიანთ მზრუნველ და გულისხმიერ ექიმს მკურნალობისა და რჩევისათვის თბილისშიც ხშირად ჩამოაკითხავენ ხოლმე მადლიერი პაციენტები. იგი 48 წელია, რაც განუწყეტლივ მოღვაწეობს რენტგენოლოგიის დარგში რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში.

ა. კვალიაშვილმა განვლო სახელოვანი გზა რიგითი ექიმიდან ღვაწლმოსილ პროფესორ-რენტგენოლოგოსამდე. მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველოში საფუძველი ჩაეყარა და განვითარდა მეცნიერული რენტგენოლოგია. ამასთან იგი არის პრაქტიკული რენტგენოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჩვენს რესპუბლიკაში.

აღსანიშნავია, რომ ა. კვალიაშვილმა რენტგენოლოგიაში მუშაობა დაიწყო მაშინ, როდესაც მეცნიერების ეს დარგი ისინის იყო იდგამდა ფეხს საქართველოში და ახალგაზრდა რესპუბლიკა რენტგენოლოგიის დიდ ნაკლებობას განიცდიდა. ამასთან არ არსებობდა ამ დარგში სახელმძღვანელო ლიტერატურა არც ქართულ და არც რუსულ ენებზე. ახალგაზრდა ექიმი ა. კვალიაშვილი 1923 წელს მიღებულ იქნა 4 თვით ლენინგრადის რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის ინსტიტუტში რენტგენოლოგიაში დახელოვნების მიზნით, ხოლო 1928 წელს გერმანიასა და ავსტრიაში იმყოფებოდა, სადაც მთელი წლის განმავლობაში კვალიფიკაციას იმაღლებდა რენტგენოლოგიაში.

ა. კვალიაშვილს 1933 წელს ირჩევენ პრივატ-დოცენტად რენტგენოლოგიის დარგში და იგი მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც 1938 წლიდან დღემდე უცვლელად განაგებს ჯერ რენტგენოლოგიის, შემდეგ კი რენტგენოლოგიის და რადიოლოგიის კათედრას.

1941 წელს ა. კვალიაშვილს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება. მან პირველმა საბჭოთა საქართველოში 1945 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია რენტგენოლოგიაში. 1947 წელს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ა. კვალიაშვილი არჩეულ იქნა პროფესორად, ხოლო 1961 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1966 წელს, დაბადების 70 წლეთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებით იგი დაჯილდოებული იყო სპატიო სიგელით.

დიდი სამამულო ომის პირველ დღეებშივე ა. კვალიაშვილი ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. იგი ხელმძღვანელობდა N საევაკუაციო ჰოსპიტლის რენტგენოლოგიურ და ქირურგიულ განყოფილებებს და ერთდროულად მუშაობდა თბილისის რამდენიმე საევაკუაციო ჰოსპიტლის კონსულტანტ-რენტგენოლოგად.

პროფესორ ა. კვალიაშვილის ხელმძღვანელობით ათობით ახალგაზრდა ექიმმა მოამზადა და წარმატებით დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ათასობით სტუდენტი დაეუფლა რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის რთულ მეცნიერებას, გამოზარდა რენტგენოლოგთა დიდი პლეადა, რომლებიც ამჟამად წარმატებით მოღვაწეობენ როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ა. კვალიაშვილის თაოსნობით პირველად საქართველოში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რენტგენოლოგიის და რადიოლოგიის კათედრამ მოაწყო რაიონში მომუშავე რენტგენოლოგებისათვის დაუსწრებელი და დასწრებული 2-წლიანი ორდინატურა, რამაც მეტად ნაყოფიერი შედეგი გამოიღო.

პროფესორ ა. კვალიაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით ქართულ ენაზე დაიწერა და გამოიცა რადიოლოგიის მოკლე სახელმძღვანელო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კათედრის თანამშრომლებმაც. ქართულ ენაზე მანვე გამოსცა ორი ორიგინალური სახელმძღვანელო რენტგენოლოგიაში ექიმებისა და სტუდენტებისათვის.

ა. კვალიაშვილის ხელმძღვანელობით რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის აქტუალურ საკითხებზე შესრულდა 300-მდე სამეცნიერო შრომა, რომელთა შორის 150 დასტამბულია სხვადასხვა ჟურნალებსა და კრებულებში.

გულწრფელობა, სიდარბაისლე, უბრალოება, თავმდაბლობა, გულისხმიერება, ზრუნვა ავადმყოფის გამოჯანმრთელებისათვის — აი პროფესორ ა. კვალიაშვილის განუყოფელი თვისებანი.

პროფესორ ა. კვალიაშვილს ხშირად საკონსულტაციოდ მიმართავენ ხოლმე თბილისის საავადმყოფოებსა და რაიონებში-მომუშავე ექიმები, და მცოცავანი მეცნიერიც კვალიფიციურ დახმარებას უწევს მათ.

წლების მანძილზე პროფესორი ა. კვალიაშვილი იყო თბილისის რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავჯდომარე, არის თბილისის, ქუთაისის, საქართველოს და საკავშირო რენტგენოლოგთა და საქართველოს უროლოგთა სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი. სხვადასხვა დროს იგი არჩეული იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის, აკად. გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიის და სისხლის გადასხმის, აკად. მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის, ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის და ტუბერკულოზის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოების წევრად.

ვუსურვებთ ჩვენს ღვაწლმოსილ მეცნიერს ჯანმრთელ სიცოცხლეს, რომ კვლავაც წარმატებით ემსახუროს თავის კეთილშობილურ საქმეს — ადამიანის ჯანმრთელობას, ვუსურვებთ შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი საშობლოს საკეთილდღეოდ.

პროფ. ვლ. ულენტი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე;

ბ. მთვარაძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის კათედრის დოცენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ცეცხლი და ბავშვები

უმეთვალყურეოდ ნუ დავტოვებთ კატარებს!

ხანძარს ხშირად უმეთვალყურეოდ მატოვებული ბავშვები აჩენენ. ამ სტიქიურ უბედურებას კი დიდ მატერიალურ ზარალთან ერთად ადამიანის მსხვერპლიც მოსდევს. ეს მუდამ უნდა ახსოვდეთ მშობლებს, აღმზრდელებს, ყველას, ვისაც ნორჩების აღზრდა, მოვლა-პატრონობა და მეთვალყურეობა ეკისრება.

ბავშვი დაუდგრომელი ბუნებისაა, იგი მუდამ გასართობს ეძებს. ხშირად უფროსების მოქმედებას ბაძავს და თუ მარტო დარჩა, ცეცხლთან სახიფათო თამაშსაც არ ერიდება.

რას არ აკეთებენ ბავშვები გართობის მიზნით — ინთებენ ღუმელს, ნავთქურას, ჩართავენ ქსელში ელექტროხელსაწყოებს, ცეცხლს უკიდებენ სწრაფალებად სავნებს. ასეთი ცელქობის დროს ისინი სრულებით არ ითვალისწინებენ საშიშროებას და ხიფათს, რომელიც მათი გულუბრყვილობით შეიძლება წარმოიშვას.

ცეცხლთან თამაში არა მარტო პატარებს, სკოლის ასაკის ბავშვებსაც უყვართ. ზოგიერთი ბიჭი მშობლებისაგან და მასწავლებლებისაგან მალულად პაპიროსს ეწევა, თვითნაკეთი დამბაჩიდან ისვრის დენთს ან ასანთის თავებს, პატარებს ასწავლის ასანთის გაკვრას. გოგონები კი დედების მიბაძვით „დიასახლისობას“ იწყებენ, დედოფლების ტანსაცმელს „რეცხავენ“, საჭმელს „ამზადებენ“, სარეცხს „აუთოებენ“ და ამ მიზნით ნავთქურას უკიდებენ, უთოს რთავენ ქსელში, ღუმელს ანთებენ. ყველა ეს მოქმედება კი ძალიან საშიშია, მას შეიძლება ხანძრის გაჩენაც მოჰყვეს და ბავშვები, უნებლიეთ, თავიანთი გაუფრთხილებელი მოქმედების მსხვერპლნი გახდნენ.

ამიტომ ბავშვი არასოდეს არ უნდა დატოვოთ მარტო. სწორედ ამ დროს მათ უყვართ თავიანთ ნებაზე გართობა და საკმარისია უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ბავშვმა ასანთი ჩაიგდოს ხელში, რომ დაიწყოს მისი გაკვრა და ცეცხლი გააჩინოს.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა სამწუხარო შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

ეს მოხდა გორის რაიონის სოფელ ქორდაში ვ. ჯალაბაძის ბინაში. ექვსი წლის გენადი მარტო იყო სახლში. ის სათამაშოდ სახლის სარდაფში ჩავიდა, აქ დაყრილ ჩალასთან მიიტანა ასანთი და დაიწყო თამაში, ჩალას ცეცხლი მოეკიდა და მოედო სახლს, გენადი ბეწვზე გადარჩა.

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნახნნაოს მცხოვრები ი. ჯეჯელავა წყლის მოსატანად წავიდა. ბინაში დატოვა 5 წლის ბავშვი და ბინებელი ბაღი პეკინის ქუჩაზე, აქ გამოყენებულია თანამედროვე საბაღო-საპარკო ხელოვნების ყველა მიღწევა. ბაღში გეხვდება ალპინარიუმები, ყვავილნარები, „ქვის ბაღი“, კერამიკული ნაწარმით: სურებით, ლარნაკებით გაფორმებული კუთხეები. მთაწმინდაზე მოეწყობა დეკორატიული კუთხე.

დიდ სიამოვნებას მიანიჭებს მნახველს ვრცელი აუზის შუაგულში ხელოვნურად შექმნილი კუნძული სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე. აქვე ცალკეულ პავილიონებთან გაშენდება სკვერები.

რუსთაველის პროსპექტის ცალკეულ უბნებზე ჭადრის ხეების შეენაცვლება საბაღო ფორმის მუხები. მუხის ეს სახეობა გამოირჩევა ვარჯის ლამაზი მოყვანილობით, ფოთლის მოზაიკითა და შეფერილობით.

ორიგინალური სკვერი მოეწყობა საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მახლობლად. სკვერს დაამშვენებს მცენარეულობასთან გემოვნებით შერწყმული მცირე არქიტექტურული ფორმები, საავარძლები, ლამპიონები.

ყოველდღიურად თბილისის საყვავილე მაღაზიები მიიღებენ 3000 ცალ ყვავილს.

მწვანე ნარგავები და საბაღო დეკორატიული ფორმები შეეგება მტკვრის მარჯვენა (რესტორან „არაგვიდან“ დაწყებული დიღმის მასივამდე) და მარცხენა სანაპიროებს, თბილისის ზღვის, ლისისა და კუს ტბის მახლობლად მდებარე ობიექტებს, ცირკის ფერდობებს და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თბილისის მიდამოებს —მთაწმინდის, ოქროყანის, ლეღვთახევის, ვაზისხევის, მახათის მთის და სხვ. გატყიანებას.

ცოტაც, და მწვანეში ჩაფლული შეეგებება საქართველოს საიუბილეო დღესასწაულს „მზის და ვარდების“ ქალაქი.

ნ. შენგელაია.

ჩვენი მეგობრების დიმილი



უსიტყვოდ

რატომ თავიდანვე არა თქვით, რომ კითხვა არ იცით.

ახლა შეგვიძლია ვისაუბროთ როგორც თანასწორებმა.

ლიუდვიკ შალქბის ნახატები (ჟურნალი „პოლსკოე ობოზრენიე“).

ტელევიზია

24 აპრილი

პირველი პროგრამით

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — საგანმანათლებლო ფილმი — „მახე“, 11.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად ლექცია ქართულ ენაში, 12.15 — ლექცია ფიზიკაში, 13.00 — „ეთერშია ახალგაზრდობა“. ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გადაცემა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.45 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“ — წყალტუბოს რაიონი (გამეორებით), 14.50 — „ეთერშია ახალგაზრდობა“. გადაცემა მიძღვნილი საკავშირო კომკავშირის კრებისადმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.35 — ციკლიდან — „დიადი ქრონიკა“ — 1966 წელი, 15.55 — უკრავს ოქსანა იაბლონსკაია, 16.20 — მოსწავლეთათვის — „შენი თანატოლი“, 17.00 — ახალგაზრდობის ინტერნაციონალური клубი — „მეგობრობა“, 17.40 — ჩვენი სტუმრები, 18.00 — შუხბუროი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „სპარტაკი“ (მოსკოვი) — სპარტაკი (ვოლგოგრადი). (ტრანსლაცია მოსკოვიდან), 19.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.10 — გადაცემა — „კინო და კომპოზიტორი“ — ს. პროკოფიევი, 20.55 — გ. მარუაშვილი — „ქარი და დრუბლები“. საქართველოს ტელევიზიის „ვარსკვლავიჭუნა“, 12.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად, ლექცია მათემატიკაში, 13.20 — ლექცია ქიმიაში, 14.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია 1. „ბუნების კარი“, 2. „კინოდარბაზი“, 15.15 — დოკუმენტური ფილმი „საკავშირო მამასახლისი“ — ქართულ ენაზე, 15.50 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ცისფერი ბილიკები“, 16.15 — კინონარკვევი, 16.25 — გადაცემა — „ხელოვანი, დრო და საზოგადოება“, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.50 — კინონარკვევი, 18.05 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“ ნახევარფინალური შეხვედრა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — გადაცემა „ევროპის სახელმწიფოებთან ერეკლე II-ის ურთიერთობის ისტორიიდან“, 20.30 — შუხბუროი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო“ (მოსკოვი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი). მეორე ტაიმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — მწერალი სტუდიაში, 22.15 — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური სატელევიზიო ფესტივალი — ცხაკაიას ზონა, 23.00 — პროგრამა მეორე დღისათვის, 23.05 — საერთაშორისო შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში (გადმოცემა რიგიდან, ვიდეოჩანაწერი).

მეორე პროგრამით

19.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მხაზველობით გეომეტრიაში, 20.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ეკონომიაში, 21.00 — დოკუმენტური ფილმი „არამ ხაჩატურიანი“.

მეოთხე ტურის სტარტი

გუშინ მოსკოვში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ბაჭოს „ნეფტჩის“ გუნდების მატჩით დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტური „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივებისათვის. შეხვედრის შედეგია ფრე — 1:1 (1:1).

დღეს გაიმართება კიდევ ოთხი მატჩი. მოსკოვში დედაქალაქის „სპარტაკი“ ითამაშებს დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდის წინააღმდეგ, კიევში ადგილობრივ დინამოელთა მეტოქე იქნება ალმა-ატის „კაირატი“, მინსკში ერთმანეთს შეხვდებიან თბილისისა და მინსკის „დინამოს“ გუნდები, ლვოვში კი ადგილმბრივი „კარპატი“ უმასპინძლებს ტაშკენტის „პახტაკორს“.

მატჩები და შედეგები

22 აპრილს გაიმართა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების საკავშირო პირველობის მეოთხე ტურის მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

„დაუგავა“ (რიგა) — „ალვა“ (ფრუნზე) 0:0, „ეალგირისი“ (ვიღნიუსი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 0:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — „პამირი“ (დუშანბე) 0:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „სტროტელი“ (აშხაბადი) 2:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „ვოლგარი“ (სტარასანი) 2:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:1.

კიდევ ორი რეკორდი

ლვოვის სასროლეთზე რამდენიმე დღეა გრძელდება საკავშირო ტურნირი სროლაში. 22 აპრილის ასპარეზობა ჩვენი ქვეყნის კიდევ ორი ახალი რეკორდით აღინიშნა.

დონეცკელმა ლარისა მინკომ პნევმატური პისტოლეტის 10 მეტრზე სროლაში (60 გასროლა) 600-დან 574 ქულა შეაგროვა. ეს შედეგი 14 ქულით უკეთესია სსრ კავშირის რეკორდისათვის დაწესებულ ნორმატივზე.

დოსაფის ნაკრებმა გუნდმა ზ. ზოლოტნიკოვას (ერევანი), გ. ყარიკოვას (ბელგოროდი) და ლ. ნიზკოვას (ვორონეჟი) შემადგენლობით პნევმატური პისტოლეტის სროლაში 1.693 ქულა შეაგროვა. ესეც ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდია, რომელიც 43 ქულით აღემატება დაწესებულ ნორმატივს.

ხუთჰიდელთა ერევნის ფორუმზე

ერევანში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საერთაშორისო ტურნირი თანამედროვე ხუთჰიდში სომხეთის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მეთაურობით. ტურნირი ჩატარდა ბულგარეთის, საფრანგეთის, რუმინეთისა და უნგრეთის ხუთჰიდელებმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში წარმატება ხვდა სსრ კავშირის პირველ ნაკრებს, რომელმაც 15.170 ქულა შეაგროვა და მთავარი პრიზი მოიპოვა. პირად ასპარეზობაში უძლიერესი იყო რსფსრ-ის გუნდის წარმომადგენელი ვ. კრიაჟევი — 5.145 ქულა.

რამდენიმე სტრიქონით

● **მესამეჯერ ზედიზედ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზიორლაურეატი ვაეთა შორის წყალში ტრამპლინიდან ხტომაში გახდა მოსკოველი სტუდენტი ვ. ვასინი, რომელმაც 162,72 ქულა შეაგროვა. აქვე, სტავროპოლში ქალთა შორის კოშკიდან ხტომაში უველას აჯობა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა ვოლგოსკელმა ა. სელინამ — 110,04 ქულა.**

● **ტალინში დამთავრდა საგაზაფხულო ტრადიციული ტურნირი თანამედროვე ხუთჰიდში. წარმატებით გამოვიდნენ ესტონელები. მათ გაიმარჯვეს ხუთიდან სამ სახეობაში და 14.459 ქულით გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. პირად ასპარეზობაში ყველას აჯობა სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატმა მოსკოველმა ბ. მოსოლოვმა — 4.932 ქულა.**

● **ქალაქ** სელვერბორგში სსრ კავშირის მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდმა ევროპის ლიგის პირველობაზე დამარცხა შვეიცის ძლიერი კოლექტივი 4:3 და მეორე ადგილი დაიკავა. პირველი ადგილი ტურნირზე უნგრელებმა გაიმაღლეს.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 92-22-98, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოთის — 93-95-97, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 УЕ 04620

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

მეზღვაურთა მეგობროგის კანონეგით

რიგა, 22 აპრილი. (საქდესის კორ.). ტანკერ „ელსკის“ მეზღვაურებმა, დღეს დანის დიდი ბელტის სრუტეში მეჩეჩიდან გამოიყვანეს ტანკერი „საბჭოთა საქართველოს 50 წელი“. — ოპერაცია რთული იყო, — უთხრა საქდესის კორესპონდენტს ლატვიის საზღვაო-სანაოსნოს უფროსის მოადგილემ ა. ა. იაკუბოვსკიმ. — ორივე გემი ტანკერია და მათი ერთმანეთზე მიბმა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვდა. ამასთანავე გაჭირვებაში ჩავარდნილი გემის შესამსუბუქებლად საჭირო იყო ექვსი ათას ტონაზე მეტი საწვავის გადატუმბვა „ელსკის“ ავზებში. სამველი სამუშაოები მიმდინარეობდა სრულტის ყველაზე ვიწრო ადგილას და ძლიერი ღინების დროს. ტანკერ „ელსკის“ ეკიპაჟმა, რომელსაც კაპიტანი მ. ნ. ფედოტოვი მეთაურობდა, ჩინებულად შეასრულა თავისი ამოცანა.

ახლა ორივე ტანკერი განაგრძობს ცურვას.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ